თეიმურაზ
ჯანგულაშვილი



გამომცემლობა
„ხაბჭოთა საქართველო"
თბილისი
1965

Г 2
899.962.1—1
ж 209

თეიმურაზ ჯანგულაშვილის წიგნში წარმოდგენილია პოეტის მიერ ოცდახუთი წლის მანძილზე დაწერილი ლექსების ნაწილი. ლექსები ამოკრეფილია კრებულებიდან „ცხრაასორმოცდახუთი", „ბალადა მიწის გაცოცხლებისა", „მაისი ოდერზე", „ლექსები" „თბილისის დილა", „ერთი წლის ლექსები", „გზა, რა გზა", „შუადღე", „ცხრაასსამოცდაორის ჩანაწერები". კრებულში იბეჭდება აგრეთვე ახალი ლექსები.

პოეტი ადიდებს სამამულო ომის თავდადებულ მებრძოლებს და შრომის სახელოვან გმირებს, ყამირისა და კოსმოსის დამპყრობ საბჭოთა ადამიანებს, ჩვენს ბედნიერ ახალგაზრდობას.

* * *

რა ჩვენი საქმეა, ვინ მოიგონა ქვეყნად სიკვდილი,
ეს ზღაპარია ძველისძველი და უცნაური,
მე სიყვარულით ვარ ფერმიხდილი
და გულში ბორგავს ღელვა ზღვაური.

ლამაზო, ყურსაც ნუ ათხოვებ ამ ზღაპარს დიადს,
ჩვენ ვცოცხლობთ! ვცოცხლობთ!—გწამდეს მხოლოდ ეს!
სიყვარულსაც ხომ სიცოცხლე ჰქვია—
და ის ბოლომდე თან გაგვყოლოდეს.

1940

* * *

მო, ყური უგდე რას ჩურჩულებს გული პატარა,
მე ხომ შიგ ტრფობის ჟრუანტელი დავაბინავე...
აქოჩრილ ღელვამ ნაფოტივით სად არ მატარა
და აი, ახლა,
მე შენს გულთან
დავაბი ნავი.

1940.

ფანდურები

შრიალით რომ ირხევიან, მოფარფატე პეპლებია,
ეს პატარა ფანტელები, ციდან ჩამოფანტულები,
თოვლი დაბლა ჩამოყრილა და ცივ თოვლსაც მზე ხლე-
ბია,
გულში ლხენა ჩამოღვრილა.—წკრიალებენ ფანდურები.

შენს შავ თვალებს, ლამაზ თვალებს მე ვეღარსად და-
ვემალე,
წყნარად მიხვალ, შემოგხედავ ალერსით და დამდურებით,
თოვლი თავზე გეხურება, შეგითეთრდა თავი მალე,
ყური უგდე, გეყურება?—წკრიალებენ ფანდურები.

გაზაფხულის ყვავილნარში ხარ ყაყაჩოს გაცინება.
ფარფატებენ ფანტელები, ციდან ჩამოფანტულები,
ალალ გულით რაც ინებო, წმინდა გულით რაც ინებო
ის სურვილი გაგიცისკრდეს!—წკრიალებენ ფანდურები.

ჩვენს გულებში საღი გრძნობის რა ულევი მადნებია,
სიხარულის ხეივნებში ვყვავით გზამოვარდულები,
ფანტელები თუ გკოცნიან და ლოყებზე გადნებიან,
მე რა დამიშავებია?!—წკრიალებენ ფანდურები.

1941

გაფრთხილება

გული მომტაცე? — ო, ლამაზმანო,
დაე, შენ გქონდეს და შენ გებაროს.
მე ყოველლამე შენ მეზმანები
მაისის ღამის ნაოცნებარო.

გული მომტაცე? — ამიერიდან
შენ გქონდეს, რადგან მის ღელვას სძლიე,
მაგრამ ანთია შიგ ცეცხლი ძლიერ
და არ გადაგწვას — მაინც ერიდე.

1941

სამშობლოსადმი

ბატონიშვილ ერეკლესა
ირმის ძუძუ უწოვნია,
წყალნი უსვამს ალგეთისა,
თრიალეთზე უძოვნია.

ხ ა ლ ხ უ რ ი.

არ მიწოვნია ძუძუ ირმისა,
ყმაწვილს არც ჯაჭვის პერანგი მეცვა,
მაგრამ მზის სხივით გულმოსირმული
გმირ წინაპართა მოდგმისა მეც ვარ.

მკერდში მეომრის გული მეც მიცემს,
ჩანჩქერს ჰგავს, კლდეზე გადმოდინებულს
და თუ რამე მაქვს, ყველაფერს მივცემ,
სამშობლომ ჩემმა ოღონდ ინებოს.

სამშობლომ ჩემმა ოღონდ ინებოს
ბედნიერება ჩემთვის ამდენი!
მიწას მშობლიურს, მზეს გაცინებულს
მე შევღაღადებ ამ ჟრუანტელით.

მეც მსურს ვიბრძოდე ძალგულოვანი,
ისე ვით ჩვენს დიდ წინაპრებს სწამდათ.
შერცხვეს სიცოცხლე ათასწლოვანი
სამშობლოსათვის სიკვდილის წამთან.

არ შემისვია ალგეთის წყალი,
ყმაწვილს არც ჯაჭვის პერანგი მეცვა,
მომგვარეთ რაში, მომეცით ხმალი!—
სამშობლოსათვის მებრძოლი მეც ვარ.

ივნისი, 1941

* * *

თასი უფრო მაღლა ასწით, დამილოცეთ გზა,
და მარჯვენაც დამილოცეთ,—მტერს ჰკაფავდეს მძლედ,
რომ სიმღერა ვაჟკაცური წინ მიძღოდეს მზედ.
...და თუ მტერმა შემიღება მკერდი სისხლის ფრად,
თუ დავეცე, არ მიტიროთ, არ ჩამთვალოთ მკვდრად!
მადღეგრძელეთ!..
მე სამშობლო გულს მივსებდა მზით,
რაც გიყვარდა, მისთვის მოჰკვდი და კვლავ სცოცხლობ! —
სთქვით.

1942

ᲪᲠᲘᲚᲮᲝᲘᲡ ᲛᲔᲒᲘᲚᲒᲐᲠᲘ

ცა პირს იკაწრავს, ტყვია კვლავ წივის
და დედამიწა რისხვით გრიალებს.
წევს ნატყვიარი გმირი არწივი,
გოგონა ფრთხილად უხვევს იარებს.

ფიქრობს ყვავილი ჰქონდეს ზღაპრული,
რომ განუკურნოს წამსვე იარა,
ანდა ნეტავი ტყვია მზაკვრული
მას მოხვედროდა, ვაჟკაცს კი არა.

1943

ვისლაზე

ეს სისხლიანი ტალღები ფართე
ვარსკვლავებდაყრილ ფარებსა ჰგვანან,
ცხრამთას იქიდან წამოსულ ქართველს
სხვა სიამაყე მინდოდა განა?!

ო, რა შორს დარჩა თერგი და დონი! —
მუხლში, მაჯაში ძალამ იათა,
სიამოვნება ასეთი, მგონი,
გამომიცდია მე იშვიათად.

შევჩერდით, დავწვდით,
პეშვით, კასკებით
ოფლიან მკერდზე შევისხით წყალი
და ეს როდია უკანასკნელი —
გადავალაჯებთ შპრეესაც მალე.

ცეცხლი ედება ცას ჩამელნებულს,
გრგვინვით მისდევენ წამები წამებს,
ციმბირისა და დონის მერნები
ლაღი ფრუტუნით ვისლის წყალს სვამენ.

1944

რამ მოგიყვანა

შიწყნარდა ირგვლივ ყოველივე. ქარი კი არა,
მიწურის კარებს შემოაღებს თვალებცქრიალა
სოფლელი ბიჭი.

დგება კართანვე, გაკვირვებულ თვალებით მიმზერს
და მერცხალივით შემომჯდარი შაშხანის ქიმზე
ოცნება იწვის.

— რამ მოგიყვანა და რა მუხლმა გადმოგატარა
ამდენი სივრცე, ფეხშიშველა ბავშვობავ ჩემო,
ქართული ცის ქვეშ მოცქრიალე ბავშვობავ ჩემო...

ხომ არ დაეძებ ჩიტის ბუდეს, ჩემო პატარავ,
ან თუ გამოჰყევ შავი შაშვის ბარტყს დასაჭერად
და ჯოხის ცხენმა გადმოგატარა...

უბეში ფრთხილად შეინახავს შურდულს არსენა,
მოვა, ღიმილით მომისინჯავს მკლავს და მარჯვენას.

როდი მოსულა მორიდებით, კრძალვით და კდემით,—
მეომარ ვაჟკაცს მკლავს მისინჯავს ბავშვობა ჩემი.

1944

მსტოვარი

ზეცას ჭელის როგორც ქორი,
მტრის მფრინავი—ღამის შვილი,
არყებსა და ნაძვებს შორის
სიზმარივით მიდის ჩრდილი.
აკრთობს ფოთლის შარიშურიც,
მიდის, როგორც შერისხული,
არყებსა და ნაძვებს შორის
ველია თუ ხელის გული.
მგლის თათებზე დგება ხმელი
ტოტისა და ფოთლის გროვა;
ჩრდილმა ასანთს გაჰკრა ხელი,
ცას შეხედა — უკვე დროა.
და ავარდა ცეცხლის ალი
ნაძვებსა და არყებს შუა,
ფეთქავს ღამე ძილგამკრთალი—
დაჭიმული ცხენის ძუა.
არყებსა და ნაძვებს შორის
ტყემ და ღამემ შთანთქა ჩრდილი...
მაგრამ მიწას რკინის ქორი
დაენარცხა დაბნედილი
და მსტოვარის თბილი გვამი
ქანაობდა ხეზე დილით.

1944

ზამთრის ჩახახატი

არც თბილი კერა შემოედავა,
არც ბუხრის კვამლი კვლავინდებურად—
ასახლებულა ხალხი ერთთავად
და სახლებიც რომ ასახლებულან!..

გაკვირდა. შემდეგ ყალყზე დამდგარი
შემოჰყვა ქარებს ფრთააფრიანებს
და მბრძანებელის ტახტზე დამჯდარი
ზამთარი შუშის თვალს აბრიალებს.

ცის ნაცრისფერად დახრილი კალთა
შარაგზებს ქარის წივილით მისდევს
და ნასოფლარის შესავალ კართან
სწუხან ჯვარი და ჯვარცმული ქრისტე.

1944

ბერლინისაკენ ვიჩქარი—ვუახლოვდები თბილისს

ის შვინდისფერი საღამო, მწოლი ჭადრების ყდაში,
ის ღელვიანი დღეები, ჩემი თბილისი და შენ...
მშვიდობით... ჩამჩურჩულებდი ნაზთა ბაგეთა თრთოლვით,
გული თრთოდა და ლხვებოდა, როგორც აპრილის თოვლი.
მე შენი სუნთქვა მესმოდა და გულისცემა ჩქარი,
ამხელა ვაჟკაცს მმონებდი ასე პატარა ქალი.
მშვიდობით!.. არ გავიხარო, გიღალატოო თუ მე,
წადიო, გბანდეს ჭრილობას ჩემი ცრემლები ჩუმი.
შევხვდით და მერე დავშორდით, იყო წუთები მძიმე,
დაგშორდი, რომ კვლავ შემოგვხვდე გამარჯვებულის ღიმით.
და ბარდნის თოვლი იანვრის, გრძელია ზამთრის ღამე,
ელი მოქანცულ თვალებით ნეტარ შეხვედრის წამებს.
მე ბერლინისკენ ვიჩქარი—ვუახლოვდები თბილისს,
შორს მივალ, უფრო ახლოა ჩვენი შეხვედრა ტკბილი,
ახლოა თვალი უცრემლო, ჩემი თბილისი და შენ
და ეგ საღამოც—მიმქრალი ჩემს ლოდინსა და ცდაში.

1944

ვინა თქვა თეთრიაო თოვლი

ვინა თქვა, თეთრი არისო თოვლი,
მე ეს ზღაპარი ვერ დამაჯეროთ.
უკვე რამდენი გზაშარა მოვვლე
და თეთრი თოვლი ვერ ვნახე ჯერაც.

მრისხანე დევთა ნაფეხურები,
სისხლის, მიწის და ხორცის ნარევი...
თავს გერმანული ცა გვეხურება,
ძმებო, ნანატრი დადგა დარები.

და დაფლეთილი ასად გვამები
თოვლს შერევია ბრძოლების შემდეგ,
უცქერი მტრის სისხლს და გეამება
კაცს, ჩიტიც რომ არ მოგეკლა დღემდე.

იქნებ აქ მუდამ თოვს ვარდისფერად,
თოვს სისხლისა და ლითონის თოვლი...
უკვე რამდენი გზაშარა მოვვლე
და თეთრი თოვლი ვერ ვნახე ჯერაც.

ვისმენ ფიფქების შემკრთალ შრიალში
დიად სალუტის ხმას მოსკოვიდან.
ჰე, ძმებო, გესმით?—გერმანიაში
წელს უჩვეულო თოვლი მოვიდა.

1945

ოდერიც გადავლახეთ

რუკაზე თითით ვხაზავდი მხოლოდ
ვისლას, დუნაის, ნემანს და ოდერს,
მეგონა, მიწას არ ჰქონდა ზღვარი
და უსრულველად დღეები ჰქროდნენ.

როგორ მეფიქრა მე, ყმაწვილ ქართველს,
გიჟი იორის ტალღებში მწოლი
თუ ვიხილავდი ოდესმე ბრძოლით
ამ ცას, ამ წყლებს და ამ მიწას ფართეს...

გამოვიჭერით თებერვლის ღამით,
აი ოდერის შავი ნაპირიც,
მიწა ფერფლით და სისხლით ნაფერი,
მტრის გააფთრება, რისხვა და შხამი.

ოდერი ვრცელი... (დიდხანს მეყოფა
ალბათ ეს ღამე გასახსენებლად).
რა შემზარავი ხმებით მოყეფავს
წყალი, ქცეული ცეცხლის ენებად.

პირველია თუ უკანასკნელი?—
ვართ სიკვდილს მუდამ შეურიგალი,
მკლავით, ნავებით, ფიცრით, კასრებით
გადადიოდა ოდერს გრიგალი.

თენდება. ვძლიეთ და უკვე ბრძოლა
ოდერის გალმა ჰქუხს ვაჟკაცურად.
... იმ ღამეს ლექსთა რვეულით მხოლოდ
ბალტიისაკენ ჩანთამ გაცურა.

1945

რა მათბობდა

თოვლზე ვწევარ. ფაფუკი და შრიალა
მკერდზე ფიფქი დამფენია რამდენი.
ო, ეს არის, მწუხარება კი არა,
სიხარულის შორი შარავანდედი.

თოვს და ცივა. დილა კიდევ არა ჩანს,
არ ჩანს მთვარეც — ქარდაკრული სანთელი.
რა მათბობდა?—ფარატინა ფარაჯა
თუ მომავლის ჩაუმქრალი ნათელი...

1945

წყაროსპირ ვწევარ

ვერცხლის ეჟვნები ცაში შეირხნენ,
ცეცხლი მოვარდა და ტყვიის ქარი.
... წყაროსპირ ვწევარ.
ნისლო, ხევითხევ
საით მიდიხარ, სად მიიჩქარი?...
წყაროსპირ ვწევარ.
და მკლავს წყურვილი...
წყალსაც აჩნია სისხლის წინწკალი,
დენთის ბურუსით შემობურვილი
წამწამებს არხევს დილა ცინცხალი.
შუბლს გახურებულს შეუშვერ ნიავს,
დახეთქილ ტუჩებს მისველებს ცვარი.
ზემოთ, ტალღებში, მტრის გვამი გდია
და სისხლიან მკერდს ულოკავს წყალი.
ქერათმიანი და პირტიტველა
მიმზერს სიკვდილი თუ სიძულვილი...
რა მომხიბვლელად, რა მიმზიდველად
მოღელავს წყარო...
და მკლავს წყურვილი.

1945.

ცის ახლოს პატარა სარკმელი

ცის ახლოს პატარა სარკმელი
ცისფერ სახლს მიჰკვრია ცისფერად,
სარკმელი სიმღერად სათქმელი,
გერმანელ გოგონას სიმღერა.

სარკმელზე სამზითვო ბალიშებს
ეყრდნობა მზისფერი იდაყვით.
—შეჩერდი, აღარსად გაგიშვებთ!..
ქალიც და სიმღერაც იძახის.

და, როცა წარბები გავშალე,
სარკმლიდან აფრინდა თავშალი.

გაიქცა... თან გაჰყვა ოცნება
სიმღერას, მაისს და ქალიშვილს,
გულს დარჩა პატარა ტკივილი
და სარკმელს — პატარა ბალიში.

მავთულის მაღალი მესერი
და ეზო მწვანეში ჩაფლული,
ყვავილებს ფუტკარი ესევა,
მზეს მოჰყავს ზღაპრული ზაფხული.

დღეები სიტკბოთი ივსება,
ვით თაფლით პირსავსე ფიჭები,
უსმინე ამღერდნენ ისევ აქ
მერცხლებიც და გოგო-ბიჭებიც.

ამ გზაზე ომით თუ ვიდოდი,—
ლხენითაც შემოვალ ოდესმე...
პირველი ზაფხული მშვიდობის
ქაცივით გადმოდის ოდერზე.

1945

საქართველოვ, დაგიბრუნდი

ნატყვიარი შინლის კალთა და საველე სამხრეები...
საქართველოვ, ტკბილო დედავ, მეომარ შვილს მამხნევებდი.
შენი შვილი, ღვიძლი შვილი, მთების დევკაცს მიმამგვანა
და დამლოცა დედის ძუძუმ, დედის ტკბილმა იავნანამ.
შენ დამლოცე, საქართველოვ! შენს ტკივილს ხომ
ვგრძნობდი ჩემად,
ოდერს იქით ჩამესმოდა შენი ტკბილი გულისცემა.
შინლის კალთა დაფლეთილი და საველე სამხრეები...
საქართველოვ, დიდო დედავ, მეომარ შვილს მამხნევებდი,
მე სიკვდილის კართან ვიდექ, შენ სიცოცხლეს მითენებდი,
მიმრთელებდი გულის წყლულსა და ნატყვიარს მიმრთელებდი.
მე, ოდერზე ხმალ მემართულს, მომძახოდა მტკვარის ტალღა
— დაჰკარ!
ჰეი ჩვენთა მტერთა ავნი თვალნი დაითალხა.
ომის ღამე გავათენეთ დიდი დღე ვინ დაგვიღამოს?!.
საქართველოვ. დაგიბრუნდი, მე მეომრის ვიხდი სამოსს.
მაგრამ განა დავივიწყებ წელს შარშანდელს, შარშანწინდელს.
სამშობლოში სიხარულის ცისარტყელა გადაბრწყინდეს!
გულო, როგორ დადუნდები, ხმაო, როგორ დადუმდები?!
სიყვარულის მზე ბრდღვიალებს, ჰქუხს თბილისის სალუტები.

თებერვალი, 1946,
საგარეჯო.

ის საღამოები

ის საღამოები ასეთი იყო მგონი:
ბალახებში, რძიან ბალახებში წოლა,
პაპიროსების დაკლაკნილი ბოლი,
ოცნებებივით აზიდული მთების მხარმკლავი,
ვარსკვლავთა თვლა,
ძებნა ბედის ვარსკვლავის,
სჯა და შექება მშვენიერ ქალთა,
მათხოვარივით დგომა
სიყვარულის კართან.

1946

*
* *

ცავ, შეგხარი, მზეო, შეგტრფი, მიწავ, მკერდზე გეკონები,
ო, უბრალო მოშაირე ნურასოდეს გეგონები.
ლექსიც ამიმღერებია, გულიც გამიგულებია,
—ამ უბადლო მზის ღიმილში ჩემი სისხლიც ურევია!

1947

ძვირფასო...

ის ლამაზი დღე, მითხარი, ჩემო,
ომის წინ იყო, თუ იყო გუშინ...
ჩამჩურჩულებდი: ძვირფასო თემურ...
ძვირფასო!.. უმალ გიკრავდი გულში.
ძვირფასო!.. თითქოს ჩამესმის დღესაც,
ძვირფასო!.. ფეთქავს ზღაპარი ძველი,
გულში კვლავ იმ ცეცხლს ჩამომითესავ
და თეთრ ცაცხვებთან, მგონია, მელი...
მოვდივარ. სად ხარ? რად იგვიანებ?
ძვირფასო!.. შენთან ვაბარებ ნიავს...
ჩამირბენს თეთრი კაბის ნიავი
და სიჭაბუკის ზღაპარი მიაქვს.
მოდი, ჩამხედე! — პოეტის თვალში
მიმქრალმა ცეცხლმა გაიკიაფა.
ჩვენ ხომ ძვირფასნი ვიყავით მაშინ
და დღეს ასე რამ დაგვაიაფა?..

მშენებელი

ავმაღლდი, დევგმირს ვედრები,—ვარ მშენებელი ამაყი!
ამაღლდნენ სახლის კედლები,
—სახლის კედლებო, ამაღლდით!
ამაღლდნენ სახლის კედლები და გულმა რაღა ინატროს,—
ხალხმა თქვას—აქ სიხარული, აქ სიყვარული ბინადრობს.
ხალხმა თქვას...
ჭერი ასწიოს ქორწილის ღამის თევამა
და იატაკი გაცვითოს ქართული აკვნის რწევამა.
წლებმა დამთოვლონ...
ხალხმა თქვას — ჭაბუკობს კაცი რა ხნისა,
სიმღერებში რომ ამაღლდა როგორც კედლები სახლისა...
ხალხმა თქვას...
მარად იდიდოს მართალმა სიტყვამ ხალხისა!

1948

ჰეი, იორმა იორა

ჰე, ნაომარო დევკაცო! გორგასლის ტაიჭივითა
სამგორის ველზე ფრთალაღად აპრილმა გაიჯირითა.
—რა მოიტანე აპრილო, სიცოცხლის თვალო, აპრილო,
სამგორის ვრცელი ?ელიდან მზის ფრთებით წამოსაფრენო?..
მიწის უბემკერდს აპრილის ღიმილი გაჰყვა ღილებად,
—დიდი შრომა და დიდება, სამგორის აყვავილება.
სამგორის ველზე მოსულა ნორჩი ნერგების ლაშქარი,
შეკრთა და გადაიკარგა სამგორის ქარი ავქარი.
დინჯნი და უჯავრელები ნერგს რგავენ უჯარმელები.
მზეში გარუჯულ ხელებით მოდიან გარეჯელები.
მტერთან ნაომარ მარჯვენით სამგორს წერაქვი დავკარი,
ივრის ტალღებში ჩავკალი სამგორის ქარი, ავქარი.
—ჰეი, დაიძრა იორი, ჰეი, იორმა იორა!
კაკლის ხის ნერგზე შემჯდარი ღღურტულებს ჩიტი ჩიორა.
ომგადახდილო დევკაცო! მაგ შენი ტაიჭივითა
სამგორის ველზე სიცოცხლემ ფრთალაღად გაიჯირითა!

1949

კაფია

გიორგი ლეონიძეს

დაგლოცა ბერმა ვაჟამა,—
ლაღად გამართე ფრთები,
ამღერდი, უფრო ამაღლდნენ
შენი მშობელი მთები.
... ვაჟასგან კალამნაკურთხო,
მეც დამილოცე გზები.

1949

ჩანჩქრებში ერთი წყაროა

ჩანჩქრებში ერთი წყაროა ზეცის თვალივით წმინდა,
მიწის გულიდან წამოვა, მზის ღიმი აწვიმს ციდან.
სიმღერით ღამის მთეველი არ ჩაიმუხლავს არსად,
დასწვდება მიწის მნგრეველი, მკერდზე შეისხამს წყალსა.
ცქრიალ-წკრიალით წკარუნობს დაუდეგარი მუდამ
—ქართული მიწის წყარონო ჩემს ბედს შენატროთ
უნდა.—
წყალს ვასმევ დევგმირ მშენებელთ ასე მკვირცხლი და
ჩქარი,
რომ მათ ხვალ მწყურვალ სამგორსა დაალევინონ წყალი.

1950

---

* ჩანჩქრები—ადგილია უჯარმასთან.

ლია ბარათი ამერიკელ ოფიცერს

რუსულ „ურათი“, ქართულ „ვაშათი“
მე მოვდიოდი კავკასიიდან
და რაიხსტაგზე დროშის გაშლამდი
ლექსიც ომობდა ვაჟკაცივითა.
მხრებით ვატარე ომის სიმძიმე
და შმაგ სიკვდილთან გაშაირება
და, როცა ქვეყნად თვალმოცი^ციმე
მშვიდობის დროშამ გაშლა ინება.—
შემოხანძრული შინლით და ქუდით
შემოგვხვდი, ჩემს გულს დარი უნდოდა,
შივხედე მე შენს ბრჭყვიალა მუნდირს
განა მტრულადა, განა უნდოთა.
მე დაკოჟრილი მარჯვენა მოგეც,
შენ—თეთრი ხელი თეთრი ხელთათმნით,
თითქოს არც კარგი სურვილი ვზოგეთ
ერთმანეთისთვის, ყველა ერთათვის.
აღარ ვიყოთო უამინდობით,
მშვიდობა მზეს და დარებს მოგვიტანს
და, როს დაგცილდი, გითხარ:
მშვიდობით!
მშვიდობით მეთქი, განა ომითა?
თეთრ სახლში დაჰკრეს ომის დაფდაფებს,

შავი სახლია, თეთრი კი არა,
თვალს რომ გიბრმავებ ოქროს ლაპლაპი,
შენც ჩემდა სამტროდ ლესავ იარაღს.
კვლავ გსურთ სიკვდილის ჟინით მბორგავი
რომ ააბრუნოთ ომის ბორბალი.
... ნუ გავიწყდება, იქ ელბის პირას
ჩემს წინ რომ იდექ როგორც ბატკანი,
რომ ჩემმა სისხლმა გადაგირჩინა
ეგ თეთრი ხელიც და ხელთათმანიც.
რაღას დიდგულობ ბომბით, აირით,
რას მედავები, სიდან სადაო?..
მე მიწაც მყოფნის, მზეც და ჰაერიც,
ნიუ-იორკთან რა მაქვს სადავო.
შხამს, ბალღამს გულში ვინც კი ვერ იტევს,
მართალ მარჯვენით დამიწდებიან.
მე მშვიდად ვშრომობ,
მომწყდი, მერიდე!
...არც მტკრთან ომი დამვიწყებია.

1951

იხილეთ მიწის გაჯეილება

ყანა კი არა, ველურ ბალახის
არ იყო გუშინ აქ ნატამალი,
წამოდგა მიწა სიკვდილნანახი
და შემოირტყა ივრის ქამარი.

მზემ საალერსო სტყორცნა ამბორი,
რადგან ჩემმა დრომ ასე ინება.
მოდით, იხილეთ ყანა სამგორის,
იხილეთ მიწის გაჯეილება.

ღელავს ჯეჯილი მკერდსავსე ზღვისებრ,
მინდვრად დგახარ და ზღვა გაგონდება,
შედედებულან ყანები ისე—
შეაგდე ქუდი და გაგორდება.

1952

ᲡᲘᲫᲘᲛᲔ

აი ვესტუმრე სანატორიუმს
და მშობლიური სითბო ვიგრძენი.
სწორედ რომ გულის თანატოლია
ჩვენი ექიმი და მასპინძელი.

ზღვის თაკარით და ამ ქალით ვიწვი,
აბა რაღა მაქვს მე დასამალი...
ექიმმა ყველა წამალი იცის,
ნუთუ არ იცის გულის წამალი..

თეთრად გაბადრულს ჰგავს მაგნოლიას
თეთრკაბიანი ქალი შავთვალა,
სწორედ რომ გულის თანატოლია,
მაგრამ, მგონია, ბავშვად ჩაცთვალა.

როგორც კი სიტყვის თქმას დაეპირებ,
იტყვის ნამალავ ღიმის მთოვარი:
შინაგანაწესს არღვევთ, ყმაწვილო,
დადგენილ წესით ძილის დრო არი.

მაშ მე უფლება არ მაქვს დავისა
და ჩუმი ფიქრი დამეკვესება:
თუ ძილის წესი უნდა დავიცვა,
რა დააშავეს გულის წესებმა?

1953

ა დ რ ე ა

შეგხარი როგორც პატარა ბალღი—
ადრე ჭალარაშერთული ვაჟი,
გესმის, ლამაზო, ცისფერი ტალღით
ზღვამ ჩვენს სიყვარულს დაუკრა ტაში.

ღამდება...
— სახლში მაგვიანდება...
ჟღერს სინანული შენს წმინდა ხმაში.
მოიცა, კარგო, განა ღამდება —
მზე საბანაოდ ჩავიდა ზღვაში.

სასიყვარულოდ გვიხმობს ბუნება,
მთვარემ წამწამი მორცხვად დახარა,
ჩემო ლამაზო, შინ დაბრუნება
ნაადრევია ვით ეს ჭალარა.

1953

მთები ზღვასთან

თეთრი ღრუბელი მთა-მთა მოცურავს,
გულში შეცურდა სიმღერის გედი,
შეხე, კაცივით ზღვასთან მოსულა
კავკასიონის მაღალი ქედი.

მხრებს დაბჯენია ზეცის თავანი
და ღამის ნისლი აღარ ებურვის
და როგორც ზვიად გემთ ქარავანი
დგას სარეისოდ გამზადებული,

უსაზღვრო ზღვაში საცაა შევა
ივერიის მთა აყრილი ტანით,
მარილიანი წყლის დასალევად
და საბანაოდ მოსულან მთანი.

ახალი ათონი,
1953.

რომ მივდივართ მხარდამხარ

რომ მივდივართ მხარდამხარ,
მაგონდება ხანდახან
ჩემი ფარაჯაც.

ტყვიის ცეცხლით ალურით
სიკვდილმა რომ დამდაღა,
ამ დღის, ამ სიყვარულის
ვიდექ დარაჯად.

დადგებოდა, ვიცოდი,
ეს დღე დიდი ზაფხულის.
ცაზე წარბებშეკრული
ნისლი არა ჩანს.

სიყვარულის მსახური,
სიჭაბუკის ერთგული
ვრჩები მარად ჟამს.

1954.

ზღვა და ზაფხული

ზღვა ივარცხნიდა ტალღების ფაფარს
და გუგუნებდა გული მუდმივად,
რუსლანისა და ლუდმილას ზღაპარს
ზღვასთან ვისმენდით მე და ლუდმილა,

ის—ჩრდილოელი, მე—მტკვარნასვამი
ზღვასთან შემოვხვდით ერთურთს მცირე ხნით.
იგი დამკრავდა ტალღას ზღვასავით,
მე ზაფხულივით გავუცინებდი.

ის შვებულება სასამსახურო
დამთავრდა გულის წვაში, გზნებაში
და სიყვარულის ცხელმა ზაფხულმა
აღარ გამიშვა შვებულებაში.

ზღვას განვერიდე, მაგრამ ეს გული
მის ტალღის ცემას სად დაემალოს...
ჩემშიაც ბორგავს სიყვარულივით
ზღვა — სიჭაბუკის საპაემანო.

1954

მაშ მითხარ

შავი თვალების ცეცხლში გავები,
ეს, მომკლავს ლეკის ქალების ეშხი...
იქნებ ჩამოსწყდნენ ცას ვარსკვლავები
და ჩაიფანტნენ დაღესტნის მთებში.

მაშ, მითხარ, აბა, ქართველ ასულებს
რატომ გვტაცებდით ლეკის კაცები,
როცა დაღესტნის ყველა ქალები
ყოფილან მართლაც მოსატაცები.

აპრილი, 1955.
მ. ხ. ჩყალა.

დალესტნური მოტივებიდან

***

თეთრშალმოსხმული ნუ გამოხვალ, ლამაზო, ღამით,
ნუ გაიელვებ სიბნელეში ნურც ერთი წამით,
თორემ შავ ღრუბელს ეგონები პირბადრი მთვარე,
შემოგეხვევა, გაგიტაცებს... ნუ გახვალ გარეთ.

ოქროსფერ კაბით ნუ გამოხვალ, ლამაზო, ბანზე,
ნუ გაიელვებ დღის ღიმილში მშვენებით სავსე,
თორემ მიმინოს ეგონები უცხო ფრინველი,
მოგეპარება, გაგიტაცებს შენი მხილველი.

* * *

ო, ია-იავ, გეკითხები, პასუხი გამეც,
მთაში რომ ჰყვავი ოქრო-ვერცხლის ღიმით მოცული,
ქვეყნად თუ არის შენზე უფრო ლამაზი რამე?
არის:
სიყვარული, სიჭაბუკის ჟამზე მოსული.

ჰოი, ლერწამო, შორ მიწაზე რომ ითვლი წამებს,
შაქრის სითეთრე ლერწმულ ტანზე რომ გაქვს მოსხმული,
ქვეყნად თუ არის შენზე უფრო უტკბესი რამე?
არის:
სიყვარული, სიჭაბუკის ჟამზე მოსული.

* * *

გმირი უშიშრად თვალს უსწორებს სიკვდილსაც ხშირად,
მას დაჩოქებულს, უკუქცეულს ვერ ნახავ ვერსად,
თავის სიცოცხლეს არ აფასებს ის თუმცა ძვირად,
მაგრამ იაფად არ დაუთმობს ბრძოლაში მტერსა.

* * *

იცოდე: ისრით დაჭრილია ირემი ერთი,
მტკივან ფეხით რომ ჩამორჩება გაქცეულ ირმებს.
კაცი რომ თავს ხრის და ბოღმისგან ეწვება მკერდი,
იცოდე: იმან ამხანაგი დაკარგა ვინმე.

* * *

სახლში: ცოლი—ლამაზი და... ბოროტი,
გზაში: ცხენი—კოჭლობს, ველარ ვცნობილობ...
უხეირო ცხენზე უარესია
კაი ყმისთვის ცუდი ცოლი, ძმობილო.

* * *

— სიმაღლით ვერვინ შეგედავება,
მთაო, რა ნისლი შემოგწოლია,
მზე სულ პირველად შენ გესალმება,
თავს დაგტრიალებს როგორც თოლია.

— მზე სულ პირველად სხივების ხვავით
მე მიძღვნის სალამს ცისკრულ სიცილით,
მაგრამ იქ, დაბლა ვარდები ჰყვავის,
მე კი აქ მთოშავს ყინვა-სიცივე.

* * *

— დედი, ჩქარა გაიღვიძე, ნახე საკვირველება,
მწვანე კაბა გადაიცვეს თოვლიანმა ველებმა.
დედი, ადი სახლის ბანზე, ნახე თოვლის ზვინული,
სურნელოვან ცისფერ იებს დაუფარავთ ყინული.

— ‘ვილო, მწვანით რამ შემოსოს თოვლი თეთრად დაყრილი,
მხოლოდ შენს გულს, ახალგაზრდულს, ეჩვენება აპრილი,
‘ვილო, ვხედავ, მოგდებია რაღაც ცეცხლი ძლიერი,
სიყვარულმა თოვლზეც იცის აყვავება იების.

მახარაძეყალა-თბილისი
1955—1956.

ღიმილის საგზალი

ბუბა კარდენოვს

პიატიგორსკი. ავტოსადგური.
აპრილის თვე და ქართველი მგზავრი.
ქალაქი მთების გულში ჩადგმული
და მთების გულის გუგუნი მძლავრი.
დილა, სითბო და იასამანი —
მოდი და მზეს ნუ მიესალმები...
ცას სამაისო ერტყა ქამარი,
მიწას — ღიმილი იასამნების.

გამოგოგმანდა ქუჩაში შველი,
აპრილის რძით და მირონით სველი.
ჰო, შველი იყო, ვაზი თუ ქალი,
გადასჭრა ქუჩა, შემომაშუქა,
იმ ცაზე უფრო უძირო თვალი
და...
მხოლოდ ერთი ღიმი მაჩუქა.
ეჰ, კარგი იყო როგორც ზღაპარი,
გუშინ ნალჩიკში რომ მითხრა ბუბამ,
გადამავიწყა ცაც და მთაბარიც,
თვით გაწითლდა და მე გადამბუგა.
თან გამატანა ღიმილი საგზლად,
ჩერქეზეთში იმ ღიმილს მივყევარ,

მზე იმ ღიმილზე ღიღინებს სადღაც,
ცაც იმ ღიმილის შუქზე ირხევა.
ირხევა სულის ყოველი სიმიც
და გზას მივიგნებ იმ ძვირფას ღიმით.

ჩერქეზეთს ჰხურავს ნაბადი წვიმის,
ყაბარდოს მთებში ბრუნავს თბილი მზე,
მე გზას მივიგნებ ლამაზი ღიმით,
...გზა ვით გავიგნო იმ ღიმილისკენ?!.

1955.

საჩერქეზოში

მუხლს იმართავენ მუხები, მზის არაყს სვამენ არყები,
ჩერქეზეთს გავიზაფხულებ, ყუბანის პირებს ავყვები.

ჭრელად ქათქათებს მდინარე—ვეფხვი მზეს მიფიცხებული,
ყუბანის ირგვლივ მთვრალივით ბრუნავს ყვავილთა კრებული.

გზას მილოცავდნენ აქეთკენ ოსი თუ ყაბარდოელი,
ჰე, ძველისძველი მოყვარე საჩერქეზოში მოველი.

მოველი, ლექსსაც დამშვენდეს სიმარჯვე თქვენი ისრისა,
მოველი, ხილი ვიხილე თქვენი მზისა და ნისლისა.

მოველი, ვნახე მშვენება ქალისა—მინანქარისა,
ჩერქეზულ რაშის ჭენება—გამოქროლება ქარისა.

შორს, მთებში კოცონს ანთებენ იბერები და ხეთები,
სიყვარულისგან დამთვრალი ჩერქეზეთს დავეხეტები.

...წავალ, წამყვება ტკივილად, როგორც სიდამწვრე მზისანი,
ჩერქეზ ქალისგან ნასროლი, გულს ჩარჩენილი ისარი.

1955.

საღამოს ტბასთან

საღამოს ტბასთან იდგა საღამო,
იის ღიმილის სადარებელი,
საღამოს ფერთან ვერც შეახამო
ბინდი—პეპლის ფრთით სატარებელი.

ტბას ირგვლივ ერტყა შიშველი ველი
და ხშირ ტყესავით ტბა შრიალებდა
და ლამიანი ნაპირი სველი
მთაში ხარირემს აჟრიალებდა.

ირემო, მოდი, დალიე წყალი,
მოდი და ლოკე გულის მარილი...
ტბა ჰგავდა მთებში ჩავარდნილ მთვარეს
და სვეტად ედგა ვარსკვლავთ არილი.

...შენ ეს წყალი ხარ, მე—ის ირემი,
შენთან მყოფი და მაინც მწყურვალი...
შორს მუქად ჩანდნენ მთების ქიმები,
მძლავრად რომ უცემთ გული მხურვალე.

მთის ძირში მწყემსებს ენთოთ კოცონი
და შიშხინებდა ცეცხლზე მწვადები
და გრილ სუფრაზე ეწყო ოცობით
ცხელი ქადები და ხელადები.

მეც ხომ მწყემსი ვარ სიყვარულისა,
მწყემსურ ცეცხლს მეც ხომ გავაჩაღებდი,
აიმ მთასავით ავმაღლდებოდი,
მთვარეს ჯიხვის რქას დავაჯახებდი.

საღამო იდგა საღამოს ტბაზე,
შენ ჩემთან იდექ შუადღესავით,—
ტბაზე უღრმესი, მთვარეზე სავსე,
ის ცეცხლზე მძლავრი ცეცხლის მკვესავი.

...ცის ფარჩეულის ეცვა სამოსი,
თვალებში შუქად ედგა ბარილი
და შეგვხვაროდა ტბა საღამოსი,
დილის მზის წყალში მკერდგაპანილი.

1955.

*
* *

ჰკითხე იმ ღამეს, ცას გამჭვირვალეს,
ნიავს—ჩვენს ტრფობას რომ ჩურჩულებდა,
იმ ლაღ სიმღერებს, ფერებს ბრწყინვალეს,
ამოქარგულებს ამ ჩვენს გულებთან.
ჰკითხე — გეტყვიან, ვკითხავ — მეტყვიან,
როგორ გიყვარდი, მიყვარდი რარიგ...
მკერდით შევები მერე მე ტყვიას
და სულში ჩადგა ფრონტების ქარი.
აქ რომ დამიდგი სიმღერის ფუძე,
იქაც მიგყავდი სიცოცხლის გზაზე,
მაგრამ... გავიდა ხანი და უცებ
ჩვენ უცნობებად ვიქეცით ასე.

1955.

სცრის მყინვარწვერი

(სურათი)

ცის კაბადონზე მძიმედ ეგდო სველი ღრუბელი,
ზღვათა ცრემლებით ავსებოდა ღრუბელს უბენი.
მას მყინვარწვერი დააშტერდა ირიბი მზერით
და უცაბედად წაეტანა უხილავ ხელით.
და დგას მყინვარი შუბლშეკრული—კუშტი და მშვიდი,
ვით დევს გოლიათს, ხელთ უპყრია საცერი დიდი.
სცრის არხეინად,
სცრის და სცვივა ფქვილივით თქორი,
სადღაც ხევებიი ფრთებს იბერტყავს თვალშავი ქორი.
მზედაკრულ მიწას სიგრილის ფრთა ცისარტყლად აწევს,
და სცრის მყინვარი,
აქნევს ღრუბლის ვეება საცერს.

ბარი ხარობდა,
კუშტად იდგა მწვერვალი მხოლოდ,
მას მზერა ჰქონდა ნისლიანი და ალმაცერი;
ძირს, უფსკრულებში ჩაახეთქა მწვერვალმა ბოლოს
დაშრეტილი და ცარიელი ღრუბლის საცერი
და გადიშუქა.

1956.

მთვარე სავახშმოდ წასულა

ცისაკენ მორცხვად აღაპყარ
ორი სადაფის თვალი,
მთვარე სავახშმოდ წასულა,
ნულარ გრცხვენია მთვარის.

შენ ცაში, მე შენ თვალებში
ლალის ვარსკვლავი ვთვალე...
მთვარე სავახშმოდ წასულა,
მე უვახშმოდ ვარ მთვრალი.

მაგ მარწყვის ბაგეს ვაცხრები,
ხელით იფარავ თვალებს,
მთვარე სავახშმოდ წასულა,
სადა სცალია მთვარეს!..

1956

ფაჩუჩები

თქვა:

— მომეცითო ფაჩუჩები...

გაწითლდა თანაც,

რა აწითლებდა, რა სცხვენოდა თაალადს და ტანადს...
თითქოს დამალვა უნდოდაო საკუთარ ტანის,
დასამალავი რა ჰქონდა განა!

— ყველაზე მცირე ზომის იყოს, ყველაზე კარგი...
თან დაუმატა: მომეცითო მეორე წყვილიც.
მიუალერსა ორივე წყვილს, გაშალა წარბი,
სახლში კი ალბათ ჯერ არ ელის არცერთი შვილი.

ჩვიდმეტი წლის წინ გაიხდიდა
თვითონ ფაჩუჩებს
და დღეს კი მათზე ფიქრი მის გულს
აღარ აყუჩებს.

გულში ჩაუკრავს ფაჩუჩები რამე განცივით
და ფართო კაბას უზრიალებს ფრთაანცი ქარი,
წინ უდევს დედის სასახელო გზა და მანძილი
და მსუბუქ ფეხით მიაბიჯებს ფეხმძიმე ქალი.

1956

ჩემს ლმაქსებს

ჰა, ესეც, — ქართულ ასოთა ჯარი,
ანიდან ჯანი რა შორს გამდგარა...
და ჩემი გვარიც ჯანით იწყება.

პირველად, როცა სკოლაში შეველ
და არ ვიცოდი მე ჯერ ანბანი,
ამომიკითხეს ყველაზე ბოლოს,
ყველაზე ბოლოს ავდექი ფეხზე.
ნუთუ ყვილაზე ცუდი ვარ მეთქი—
გული დამწყდა და ცრემლი მომაწვა.

შემდეგშიც ყველგან, ყველა სიაში
უკანასკნელად ვწერივარ მუდამ;
პირველ კაცთაგან შორს დავრჩი ისე,
როგორც შორს არის ანიდან ჯანი.

მაგრამ მე მთელი ჯანით და გულით
ვარ ქვეყნისა და ლექსის მსახური —
მუხლჩაუხრელი, სულ ფეხზე მდგარი.

ჩემო ლექსებო, ალბათ მემდურით
ჩემი გვარი რომ უკან გეწევათ,
რომ თქვენთვის მუდამ განკუთვნილია
ქართული წიგნის ბოლო ფურცელი.

(თქვენ ახლა, ალბათ, იმასაც მიწყენთ,
რომ ლექსებს თეთრი ლექსით მოგმართავთ,
რაც დღემდე არც კი დამიწერია).

იქნებ ამ „ჯანის“ ბრალია ისიც,
რომ ვერ იქნა და ვეღარ შევედით
დიდკრიტიკოსთა რეპერტუარში...

რა ვუყოთ მერე, ვინ იცის, იქნებ
დიდ პოეტთაგან შორს დავრჩე ისე,
როგორც შორს არის ანიდან ჯანი.

მაგრამ მე ძველი ჯარისკაცი ვარ
და ვიცი ჯარის ლაშქრობის წესი —
სულ ბოლო რიგშიც მწყობრის შემკვრელად
მხედრები დგანან რჩეულ რჩეული.

და ამ მხედრებს კი, ჯანდაუმცხრალებს,
ჰბადებს ბრძოლა და აწრთობს გრიგალი.

1956

თოვლის გუნდა

ფეხქვეშ იმტვრევა სიფრიფანა ყინულის თეფში,
ცა ისე ბარდნის, როგორც წლები ბარდნიან თმებში.

ქალ-ვაჟთა კისკასს, გუნდაობას შევყურებ ყუჩად
და ნელა მივდევ ლე ომონტოვის დათოვლილ ქუჩას.

(რუსული სიტყვის, დიდი სიტყვის ბრწყინვალე რაინდს
აქ ქუჩასავით გათეთრება დასცლოდა მაინც).

ვგრძნობ თოვლის გუნდამ შემირხია მხრებზე კუნთები,
გულნაწყენიც და ნაამებიც შემოვბრუნდები.

ვხედავ — დარცხვენილ სითამამით მესროლა მზერა,
მან, უბეშიც როძ ჩაუწყვია თოვლის გუნდები.

ასე ულმობლად რომ გაჯახებს წამწამთა შუბებს,
გასულ ზაფხულს თუ ამოივსო გუნდებით უბე.

თითქოს შორს, სადღაც გადიწია სიბერის ფარდამ,
რა მეთქვა მისთვის, მადლიანი მადლობის გარდა.

1957

ილიას ხილვა დარიალში

ო, ალბათ ახლა მზე თამაშობს ყვარლის გორებზე,
მყინვარწვერს მკერდზე სქელი ნისლი შემოსწოლია,
ეს დარიალი—ასე ვიწრო, ასე გოროზი—
უკვდავებაში შესასვლელი კარი მგონია.

ამ დიდ კარებში დგას ილია თვალნაშუქარი —
ჩემი მამულის მომავალი ტვინი და გული,
იმ გულს ძარღვებში სისხლად უჩქეფს თერგი მქუხარი,
ამ სისხლით უნდა ჩამორეცხოს ქვეყანას წყლული.

ოთხი წლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულა
და უკვე ბრძენი ახალგაზრდა ხვდება დარიალს,
სულში წყურვილი ტალღასავით დაბრუნებულა, —
დასწვდა ილია,
თერგის მღვრიე წყალი დალია.

თერგი დალია,
დანისლულ მთებს სუნთქვა შეუკრავთ,
ეჰ, თუ მაშინაც ამნაირი იდგა დარები...
თერგი დალია და დარიალს ეტლით შეუყვა...
— ჩამოდი!...
ფეხით გაიარე!
გემუდარები...

— ჩამოდი!..
ისმის დარიალის ბუბუნი მკვეთრი,
— ჩამოდი!..
დაღმა მიღრიალებს თერგი მშფოთვარე,
ცხენშებმულ ეტლში არ წაგექცეს სიცოცხლის ეტლი,
შენი მამულის განახლების ახალმოთავევ...

წიწამურისკენ ჩაგატაროს მაგ ეტლმა იქნებ,
ნუ გინდა ეტლი!.. ფეხით ჩაჰყევ მშობლიურ არაგვს!..
არ მისმენს,
მაინც მიჰქრის ეტლი,
მე ვრჩები იქვე
და ჩემს გულის წვას საზღვარი არ აქვს.

და დღეს ლექსივით იკითხება ბრძენკაცის კვალი,
ცას სწვდება რეკვა უკვდავების ზართა ძლიერთა,
როცა ილიამ შეანათა ამ კლდეებს თვალი,
ასე მგონია დარიალი გაგანიერდა.

დარიალის ხეობა,
1957

ოთხეულები

ბარათაშვილის აღმართი

ჰოი, ნეტავ თუ შევძლებ ოდესმე
ბარათაშვილის აღმართზე ავლას...
ასეთი მუხლი როგორ მქონდეს მე—
ამაზე ფიქრი თანა მდევს ჯავრად.

აუხსნელი იგავი

შენ აუხსნელი დამრჩი იგავი,
ეჰ, ერთხელ მაინც გამხარებოდი...
მაგრამ ცოლი რომ ჰყოფილიყავი,
იქნება ასე არც მყვარებოდი.

გ ა ლ ი

შავი ზღვის ახლოს გალია,
ჩემი ოცნების გალია,
იმ ლამაზ გალში ქალია,
გული დარდით რომ გალია.

ალვის ხეები

წელზე შემოვხვევ ხელებს მიწიანს,
მათი შრიალის ეშხით დავთვრები,

უკვამლო ცეცხლით ცაში იწვიან
ალვის ხეები—მიწის სანთლები.

ადამიანები სასაფლაოზე

მოდიან, სტოვებენ მიწაში ახლობლებს
და თავდახრილები მიდიან უკან
და...
მხოლოდ დროებით მიდიან უკან.

ბეთანია

ფრთებად ვისხამ ხეთა ნიავს,
გადვუქროლებ ამ არესა,
მელოდება ბეთანია
და თვალები თამარისა.

1958

მაჩაბლის ქუჩა

და გაფოთლილან ისევ ცაცხვები,
მათი შემყურე ვით ვიყო ქუშად,
ზოგჯერ ამაყად, ზოგჯერ დარცხვენით
მე გამივლია მაჩაბლის ქუჩა.

ზოგჯერ სიმღერით, ზოგჯერ კი ყუჩად
თან დამაქვს კრძალვა პირველ გავლისა;
მაჩაბლის ქუჩა, მაღალი ქუჩა,
ქუჩა დადება შოთას მტკავლისა.

ჰა, შეფოთლილან ცაცხვები გუშინ,
მათებრ შეფოთვლა სულსაც სწყურია;
ლექსის ოსტატთა ამ წმინდა ქუჩით
ვაი თუ რუსთველს არ გაუვლია...

მაისი, 1958

გაზაფხული იბადებოდა

„ავრორას“ ზალპმა ბალტიის ზღვიდან
გაჰკვეთა სივრცე თვალუწვდენელი,
რევოლუციის საჭესთან იდგა
და ჯავშნოსანზე ჰქუხდა ლენინი.
ძველმა სამყარომ იწყო ცახცახი,
სინათლის დროშა იბადრებოდა
და ეცემოდა ზამთრის სასახლე
და გაზაფხული იბადებოდა.
იბადებოდა სამშობლო ჩვენი,
დღეს რომ სიმღერით ვეხმაურები,
ბრძოლაში გაჰყვნენ ვლადიმერ ლენინს
ჯარისკაცები, მეზღვაურები.
ლენინთან იყო მწყემსი და მხვნელი,
რკინის მდნობელი, მაღაროელი,
ლენინს მიჰყავდა პარტია ჩვენი
ახალი ერის მახარობელი.
საუკუნეთა გაჩაღდა შუქად
ცხრაასჩვიდმეტის ოქტომბრის ღამე,
მზე სწორედ მაშინ დაენოო უხვად
სისხლ ცრემლით მორწყულ ველებს და ხრამებს.
სიცოცხლის ძალაც იმ ღამემ მისცა
ჩვენს საქართველოს, ჩვენს მთებს და ველებს,

მას შემდეგ მართლაც ამღერდა მიწა,
ხალხიც ამღერდა იმ ღამის მერე.
ორმოცდაერთი წლის წინანდელი
ოქტომბრის ზარი საქვეყნოდ რეკავს,
გამოგვივლია გზები ნათელი,
რწმენით მივყვებით ლენინურ ცეკას.
უკვდავ დიდებით მოვსულვართ დღემდე,
ოქტომბრის დროშას დაბლა რომ არ ვხრით,
საუკუნეთა, ურიცხვთა, შემდეგ
კვლავ ამ გზით ივლის უკვდავი ხალხი.
ოქტომბერს—ჩვენი სიტყვა მჭექარი!
ოქტომბერს—ჩვენი ფიცი მხედრული!
მზე-კომუნიზმის ბრწყინავს ბჭეკარი,
ორმოცდაერთი ელვით შეკრული.

1958

წითელი კაბა

— რომ გავიზრდები,
წითელ კაბას გიყიდი, დედი,
გიყიდი წითელ კაბას!..

მაგრამ იმგვარად მობრუნდა ბედი,
წავიდნენ წლები,
წავიდნენ ისე სწრაფად,
ვეღარ შევძელი მე წითელი კაბა მეყიდა,
დედილო, შენთვის...
მე მერხის მერე დავიდაღე ომის მეხითა,
ცეცხლით და დენთით;
მზე წითლად ასჯერ ამომივიდა
შუქით ცივითა.
მიწაც ვიხილე წითელ კაბაში,
წითელი სისხლით დავიდაღე
და დავინახე
ირგვლივ სიკვდილი ყეფდა კაპასი,
ხანდახან ახლაც რომ მეყურება...

შვილს აპატიე დაპირების ვერშესრულება,—
შენი სისხლია, შენი ღვიძლია...
და ახლა, როცა მე შემიძლია
წითელი კაბის ყიდვა,

შენ იგი უკვე აღარ გჭირდება...
ძნელია ცალი უღელის ზიდვა,
შავ თმაში თეთრი გაგიხშირდება...
კაბა გჭირდება მაგ თმათა ფერი,
შავი, მარტოდენ შავი...
და ჰა,
სიქვრივის საჩუქარი მოგართვი, დედი,
და შენს წინ ვდგავარ ვით დამნაშავე.
უფლება არ მაქვს,
მკაცრი წესი გულს მეწყლულება,
სხვა ფერის კაბის ყიდვა უკვე არ შემიძლია...
შვილს აპატიე დაპირების ვერშესრულება,—
შენი სისხლია, შენი ღვიძლია...

* * *

შენთან ხანდახან სიცილიც ვერ გამაბედვინონ,
შენი ტკივილით, მამის ჯავრით გული მევსება,
და ჩემი შვილი,
შენი შვილიშვილი,
დედილო,
ვითარცა მე შენ, თავის დედას ეალერსება.
ტკბილად ღუღუნებს ჩემი ლაღი, გულთეთრა მტრედი:
— რომ გავიზრდები.
წითელ კაბას გიყიდი, დედი,
გიყიდი წითელ კაბას!

თვალს შეიმშრალებ, უწმინდესი ცრემლებით ნაბანს,
შვილის წინაშე გსურს დამალო ეგ შავი კაბა,
როგორც ტკივილი, როგორც ჭრილობა.
— დე, აღასრულოს შვილმა პირობა!

1959

სულხან-საბა

1

მიწა შეარხევს რუხ-მწვანე საბანს,
საცაა უკვე მნათობიც ჩავა;
კლდეთა ქალაქში შემოდის საბა
და ბერის კაბა უელავს შავად.

ცაზე ლივლივებს მაისის ფარჩა,
თითქოს ტანძიის მოჰბერს ნიავიც...
იქ სადღაც, ივრის პირებზე დარჩა
ძე-კაცი სულხან ორბელიანი.

და სდუმს უწყალოდ გარეჯის ქვაბი,
ზე ავლენილი მდუმარე ლოცვით,
ცას შესცქერიან ნარუჯი ქვები,
როგორც მამულის დამწვარი ხორცი.

გარეჯსა შინა შემოდის საბა
ქართული სიტყვის კრიალოსანით,
ემთხვევა მიწას, ცრემლებით ნაბანს,
ხალხზე მლოცველი და ღვთის მმოსავი.

— ბერო საბაო, ჭაბუკი სულხან
მონასტრის გარეთ შენ გელოდება!..

გულს ლოდად გადევს სიცოცხლის სუნთქვა,
მტრედის ბუმბულიც კი გელოდება.

სად ბუმბული და სად ლოდი, საბავ...
ჩქარა გაიძრე ეს ბერის კაბა!—
ძე-კაცი სულხან შენ გელოდება...

შენ გელოდება!...
გზა არის დიდი,
ზღვათა, ხმელეთთა გარდასავალი,
შენთვის არ თქმულა ცხოვრება მშვიდი,
დაყუდებულთა მყუდრო სავანე.

ვით ჩამოლამდეს ცა სინათლისა,
ქართვლის სიკვდილი ვის უთქვამს, აბა...
შენ გელოდება ბედი ქართველისა,
სამშობლოს ბედი...
გამოდი, საბავ!

მამულში ობლად დარჩა სულხანი
ანთებულ გულით, დასისხლულ ხმალით,
შენ გელოდება,
გამოდი, საბავ!

და ერთურთს შეხვდნენ სულხან და საბა.

2

მამულის ბედის მაძიებელი
შორ გზებზე დადის საბა-სულხანი,

სულხან—ჭაბუკი, საბა—ბებერი
და ერთი გული—ცხელი ვულკანი.

საბას დარდი ჰკლავს გარდასულ ხანის,
მხარში ვინ ედგას გარდა სულხანის?..

ევროპას ქვეყნის ხსნასა სთხოვს საბა,
სულხანი უწმენდს მკერდს, სისხლით ნაბანს.

პარიზი კეკლუც თვალებსა ნაბავს.
ჰა, ჩაიჩოქა ბოღმისგან საბამ,
საბას აყენებს ფეხზე სულხანი.

უკან მობრუნდნენ მოყმე და პაპა,
ორივეს ერთი აქვს საწუხარი,
მტრის დამარცხებას ლოცულობს საბა,
მტრის რისხვად ლესავს მახვილს სულხანი.

3

და სულხან-საბა ვიდოდა ასე
საუკუნეთა უშორეს გზაზე.

მოსთქვამდა ქვეყნის დარბეულ კერებს,
ნისლი ეხვია ოცნებას მისას.

დიდხანს ებრძოდა ქარიშხალს მედგარს...

და მოაღწია ორას წლის მერე
ღრუბელგადაყრილ სამშობლო მიწას.

და უკვდავების კვარცხლბეკზე შედგა.

1959

ჩვენი პლანეტის პირველი ელჩი

ჩვენს დიდ დროს უნდა ფეხდაფეხ მიჰყვე,
უფრო ხმამძლავრად უნდა მღეროდე,
მაგრამ, პოეტო, სად ჰპოვებ სიტყვებს,
ამ ზღაპრულ ნახტომს რომ შეჰფეროდეს.

მაშ ამ ღელვასაც გაუძელ ბარემ,
წამოსაფრენად გული რომ გერჩის,—
საბჭოთა ალმით ესტუმრა მთვარეს
ჩვენი პლანეტის პირველი ელჩი.

მთვარეს ეწვია ჩვენი რაკეტა—
მაუწყებელი უდიდეს დღეთა!
ის ჩემი ხალხის ხელმა აკეთა,
მშვიდობის გრდემლზე აწრთო და სჭედა.

ეს შენ შესძელო, მშობელო ხალხო,
შენ გაუსწორე სამყაროს თვალი!
ცხელი მზე ომის ცივ ყინულს ალხობს,
ცა სამშვიდობოდ ნათლდება რარიგ.

დედა-მოსკოვის ღერძზე ტრიალებს
ეპოქა—ამდენ ღელვის მზიდველი
და დღეს მთვარეზეც ლაღად ფრიალებს
ჩვენი სამშობლოს დროშა წითელი.

14 სექტემბერი, 1959.

შუადღე

თავს ცხელი მეხი დამცა რა,
ავდრიან დილამ დამცარა,
ჩემი შუადღის მოსვლაზე
არც ჰო მითხრა და არც არა.

ჭაბუკის მკერდით შევები
სისხლის და ცრემლის დიდ ღელეს,
ჩემი კაცობის დღეები
ბრძოლებში გამოვიდღევე.

და ჰა, ბრდღვიალებს ცხელი მზე
ჩემი სიცოცხლის ზენიტზე.

კეთილი დარის ნიშანი
თეთრი ღრუბელი მოცურავს,
ჩემი შუადღე მოსულა,
ჰეი, რა ჩქარა მოსულა.

ეჰ, თურმე თვითონ მომყავდა
ის თავის პაპანაქებით...
ვიწვი და ვიღვწი, რომ ჰყავდეთ
'შვილიშვილთ პაპა ნაქები.

გულო, იყუჩე, ცოდო ხარ,
ეს რა ალბურით აღმანთე...
მზევ, გაივაკე ცოტა ხანს,
გვიან დაეშვი დაღმართზე.

შუადღევ, დიდხანს გაგრძელდი,
ფიქრო, დაღვინდი, დარძევდი!

სიტყვავ, დაფდაფებს დაჰკარი,
იქუხე, არ დაახანო!..
დამწვარს შუადღის თაკარით
ფერფლად მიმიღებს საღამო.

1960

გზის პირას ჰყვავის მინდვრის ყვავილი

გზის პირას მინდვრის ყვავილი ჰყვავის
ელვარე ფერით, აწეულ თავით.

გამვლელთ გულებს რომ ესალმუნება,
მიველ, შევახე კრძალვით მე ბაგე,
ნუ გამიწყრები, დედა-ბუნებავ,
დედა-ბუნებავ — დიდო მებაღევ!

ეს ყვავილი ხომ ჩვენთვის გიძღვნია,
გიჩუქურთმია უკვდავ ხელებით;
გზაზე წვებიან და წინ მიძღვიან
მისი ფერების ცისარტყელები.

გზის პირას ჰყვავის ამო ყვავილი,
მაისის ჩარხში გამოყვანილი.

ფიცხი მზეა თუ ჩამოსდის ხვითქი,
თავსხმაში დახრილ თავით არ გვიმზერს,
ნეტავ, მასავით ეს ჩემი სიტყვაც
იდგეს ცხოვრების შარაგზის პირზე.

იდგეს, ჰყვაოდეს,
სიცოცხლის მგზავრებს
ატანდეს გულის მუქსა და ღიმილს,
არ აშინებდეს გრიგალი მძლავრი
სეტყვით და თრთვილით, გვალვით და წვიმით.

...ელვარე ღიმით, ამართულ თავით
გზის პირას მინდვრის ყვავილი ჰყვავის.

1957

ზაფხულია და ჯერ მკათათვე არ დამდგომია

აგარაკებზე გაკრეფილა მთელი ქალაქი,
ზოგს მთა ეძახდა, ზოგს — შავი ზღვა, ზოგსაც—არაგვი.

მე წიგნებს შევრჩი, თავზე მადგას ქაღალდის ჩერო
და დამშრიალებს: მკათათვის თვე ადრეა ჯერო.

შენ მხოლოდ ახლა ხნავ და თესავ მარცვალს, მთესველო,
და ვიდრე სამკალს არ იხილავ, არც მოგესვენოს.

ჩემს წინ როდია მობიბინე ნასიმინდრები,
სახნავ-სათესად მაქვს ქაღალდის ნაზი მინდვრები.

თაკარა მზეში თავზე მადგას ფურცლების ჩერო
და დამჩურჩულებს: მკათათვის თვე ადრეა ჯერო.

ვიცი დამბუგავს, მაგრამ ამ ცეცხლს ვერ დავეხსნები,
ვიწვი მთესველი თბილისური მზით და ლექსებით.

1960

იმ გზაზე შავი მაყვლები იცის

გაგრის მახლობლად, კოლხეთის გზაზე
მზის ცხელი ტვირთი წელში მომხრიდა,
პირთამდე სავსე ზაფხულის თასი
ამაყად ეპყრა ხელში კოლხიდას.

იმ გზაზე შავი მაყვლები იცის...

ვისმენდი მე შენს წკრიალა სიცილს,
ულმერთოდ მწვავდნენ თვალნი მაყვლები,
და მიჰყვებოდნენ ბარბაცით გზის პირს
მაყვლები, როგორც მთვრალი მაყრები.

იმ გზაზე შავი მაყვლები იცის...

თეთრად ვუთევდიო იმ შავი ზღვის პირს,
შენ გქონდა მართლაც შავი თვალები
და თუ კვლავ ვნატრობ შენს წმინდა სიცილს,
ისე, ხუმრობად ჩამითვალე მე.

გაგრასთან შავი მაყვლები იცის...

ზაფხულის წისქვილს ვუხდიდი მინდად
გულს და შენ იყავ იგი მემინდე...

ისევ მწყურია და ისევ მინდა
ტალღები მღვრიე, ტალღები წმინდა...
ამ წყურვილისთვის მოდი შემინდე...

გულმა წყურვილი ყოველთვის იცის...

1961

გაგრის გახსენება თბილისში

ალიოშა არუთინოვს

ძმაო ალიოშა, მეგობარო ჩემო,
მლაშე წყალი მოსვა მოწყურებულ მზემო,
იმ მზის ახლოს წამო, მაღალ მთების ზემოთ.

მაგრამ... როგორ დავთმობთ ამ საზღაპრო ნაპირს,
ქვიშამ ხარბად მოსვა ქარვისფერი ქაფი,
ზღვისპირ დადგა ქალი მაისისფერ კაბით.

...გაგრა, მოქნეული შვლის მშვენიერ ყელად
შავ ზღვას შემოჰკვრია მზისფერ ცისარტყელად.

მაგნოლიის ფოთლებს ჰკვეთს მზის სხივთა სვეტი
და ორთქლდება უცებ ჩეხურ ლუდის წვეთი.

როგორ ჩაგვიქროლა, როგორ გაჰქრა ის დღე...
წამოქოჩრილ ზღვაზე თოლიები ისხდნენ.

სად წავიდა, მითხარ, შორს წასულო გემო,
ის თაფლივით ბაგე და მარილის გემო...

რუსთაველზე ახლა ფრთას შლის შემოდგომა,
გვხიბლავს მთაწმინდაზე მთვარის შემოდგომა.

შემოგვაკლდა წლები, მოიმატა დღემო,
ძმაო ალიოშა, მეგობარო ჩემო.

სხვა ზღვის ტალღის ხმა რეკს, ეს ზღვა მართლაც სხვაა,
ათასფერი ზღვაა, განა შავი ზღვაა.

შავო ზღვაო, ალბათ აღარც გაგონდებით,
სხვა ზღვამ აგვიტაცა როგორც ნაფოტები.

და ჰაი, რომ უკვე მიეფარა ის დღე...
წამოქოჩრილ ზღვაზე თოლიები ისხდნენ.

1961

მეგობარო ჩემო

ფრონტებგამოვლილი ძველი კაპიტანი,
თმები შეევერცხლილი, ნატყვიარი ტანი.

ალამპრებულ გულში მთელ ქვეყანას იტევს,
— გამარჯობა, კოტე!
— გაგიმარჯოს, ქიტეს!

ძველი მსახიობი და თამადა ჩვენი,
ძარღვში სისხლის ნაცვლად უდგას ვაზის წვენი.

სახლში შეგიტყუებს, ყანწით შემოგიტევს,
გაგიმარჯოს, კოტე!
— იცოცხლეო, ქიტეს!

კოტე ხუნდაძეს და სიტყვა გაუხუნდეს? —
ისეთს იტყვის, ძმაკაცს გული გაუხურდეს.

ამ ცხოვრების სცენას ნურც უჩანდეს კიდე!
— გამარჯობა, კოტე!
— გაგიმარჯოს, ქიტეს!

მეგობარო ჩემო, გვედგას ერთი გობი,
მუდამ კაპიტნობდე შრომით, ბრძოლით, ძმობით.

კაცი, გულის კაცი, სულ სიყვარულს მკიდე'ს!
— გამარჯობა, კოტე!
—გაგიმარჯოს, ქიტეს!

1961

ფოლადის ქალაქი

აი რუსთავი — მამულის ძალა,
ცად რომ ჰქრის, მისი სუნთქვის ქარია,
ჩვენი ქართული ფოლადის ქალაქს
უყურებ, შესტრფი და გიხარია.

ახალ დიდების გახდნენ მოწმენი
კავკასიონის თეთრი ქედები,
ათასწლეული ახდა ოცნება, —
ისმის ბუბუნი მძლავრი ბრძმედების.

ავაგეთ ტრიალ ველზე ქალაქი,
ცხრათვალა მზისკენ ფრთებშემართული
და გადმოჩქეფდა როგორც არაგვი,
ჩვენი დიდება — რვალი ქართული,

ვიყოთ ძლიერი, ვიყოთ მდიდარი! —
ჩვენმა ეპოქამ ასე ინება, —
ქართულ ფოლადის ცხელი მდინარე
ქვეყნის ძარღვებში მიედინება.

მიდის, იქცევა დაზგად, ხომალდად,
მზესთან შეტყორცნილ ციურ პლანეტად,

ჩვენი მარჯვენის მადლი რომ ადგას,
რეკავს სამშობლოს ფარგლებს გარეთაც.

აი, რუსთავი — დიდება ჩვენი
და სიჭაბუკე საქართველოსი,
ცისთვის შეუდგამს მაღალი ბჭენი
მაისის ფერად კაბით შემოსილს.

ჩაუქრობელი უნთია თვალი,
კომუნიზმისკენ ფხიზლად მზირალი,
აი, რუსთავი — ქართული რვალის
დედა-ქალაქი გასაკვირალი.

აი, რუსთავი — მამულის ძალა,
ცად რომ ჰქრის, მისი სუნთქვის ქარია,
ჩვენი ქართული ფოლადის ქალაქს
უყურებ, შესტრფი და გიხარია.

1961

ვაჟას ბუხარი

შებუდებულან ჭერში ჭაღები
(სადღაც არაგვთან ბრწყინავს ჩარგალი)
და ელექტრონის ყაისნაღები
ღამეს ოქროსფერ ნაყშით ქარგავენ.

ოთახში ზღვა დგას, ზღვა სინათლისა,
ლამის მინდორი მაინც მომიცდეს,
ამომიღამდა თვალი სანთლისფრად,
ჩქარა, მკათათვე როდი მომიცდის...

ოთახში ზღვა დგას, ზღვა სინათლისა,
სადღაც ლიცლიცებს შუქი ბუხრისა,
გავხდი მონატრე მისი მჭვარტლისა,
ერთი სახარე ვაჟას უღლისა.

ხმელი წიფელის ფიჩხი ტკრციალებს,
თვალს აბრიალებს ბერი ლუხუმი,
ცაში აპრილის ელვა ციალებს,
მკერდზე გადამდის ტალღა გრუხუნით.

ელვაც ის არის, ტალღაც მ.ქუხარი,
რომ აქვს სიმაღლე მზესთან მბრწყინავ მთის

და ამენთება მისი ბუხარი,
როგორც სათავე დიდი სინათლის.

შემაჟრიალებს, შემაცახცახებს
რაღაც მაგიურ ცეცხლის მფლობელი
და ყველა ჭაღზე ძლიერ ჩახჩახებს
ვაჟას ბუხარი ჩაუქრობელი.

1961

კვლავ ფრთებს ისწორებს ხოხობი

ჰეი იმ სახოხბიჭალას,
ხოხბების ფრთებით მოლობილს,
სახოხბიჭალის ბოლოზე
ამაყად ყივის ხოხობი.

ივრის გალმა და გამოლმა
დგას ყანის თეთრი კედლები,
იმ კედლებს შიგნით დახტიან
დასუქებული ქედნები.

აქ კი, ქუჩის პირ, კაკლის ქვეშ
ზის ძია გიგო გულდინჯად,
ჭაბუკებს — კუნთებს მკლავისას,
ბალღებს ხმის კილოს უსინჯავს.

ეტყვის, ვინც თვალში მოუვა,
— ხარ მონადირე ნამდვილი,
გასწავლი თოფის სროლასაც,
ჩემთან ჩამოდი ხვალ დილით.

თვით ძველი მონადირეა,
რა სათქმელია ანდა ეს, —

ამ ჩვენი სოფლის გარეთაც
კარგად იცნობენ ყანდარელს.

ყანწს რომ ადარებს კაი თოფს,
წყალსაც კი ჭიქით არ დალევს;
უცნაურ ამბებს მოჰყვება,
იტყვის და მსმენელს გადარევს.

იტყვის და წარბსაც არ დახრის
გაკვირვებულთა ხმაურზე.
ახლა მის გვერდით რომ იჯდეს,
შერცხვება მიუნჰაუზენს.

— თავს გადავევლე ბებერკლდეს.
ბოლი სდიოდა ორლულას...
ჰეი, იმ სიჭაბუკესო...
თქვა და თვალები მოლულა.

ერთხელ მეც თვალში მოუველ,
ყანწებს მიგავდა კანჭები,
უბეში როგორც ტყვიები
მეყარა ივრის კენჭები.

ჩემივე ნაოსტატარი
შურდული ყელზე მეკიდა,
მიხმო, მუხლებზე დამისვა,
წკიპურტი გამკრა ნეკითა.

გამიღიმა და დამლოცა,
იყავი მონადირეო,
შენი ბიჭობის ამბავი
მოხუცსაც მომაწკდინეო.

...გავმტყუნდი, მომიტევებდე,
უკვე ჩამქრალო ღიმილო...
ვარ სიტყვას ადევნებული,
ცერზე შემჯდარი მიმინო.

ვერც ტახი მოვკალ, ვერც დათვი,
ვერც სადმე დავჭერ ირემი,
აი ეს ლექსი მოგართვი,
როგორც რამ ნანადირევი.

საოცარ ამბებს ვერ ვყვები,
გვერდით ვერ ვისხამ გოგო-ბიჭს...
სახოხბიჭალის ბოლოზე
კვლავ ფრთებს ისწორებს ხოხობი.

1961

შენს ელვადქცეულ დღეებს გავცქერი

დეკემბრის დღეა უკანასკნელი,
ჩვენს გულს რომ ახალ შუქად დაერთო;
ეაგ შენს ბრწყინვალე, დიდ გზას გავცქერი,—
გზა მშვიდობისა, სამოცდაერთო!

მიდიხარ, დროთა უღელტეხილის
უკვდავ და მაღალ მწვერვალად სდგები,
შენ დამიპურე ბაღში ხეხილი,
დამიდგი პურის მაღალი მთები!

„აღმოსავლეთის“ ზღაპრული ფრთებით
გასჭერ კოსმოსის სივრცე უვალი,
შენ თვით ვარსკვლავეთს შეუდგი მხრები,
სამყაროს ელვად გადაუარე.

მზის სხივთა რიდით პირს რომ იბურავ,
შენ უკვდავება დაგრჩა სახელად,
იქეც პლანეტის მაღალ ტრიბუნად
და კომუნიზმის გადასახედად.

შენს ელვად ქცეულ დღეებს გაკცქერი,
ჩემს გულს რომ ახალ შუქად დაერთო,
დიდი მომავლის გზები გასჭერი, —
გზა მშვიდობისა, სამოცდაერთო!

1961

თაფლს ეზიდებიან თუთები

საგარეჯოში ბლები მოლეულა,
თაფლს ეზიდებიან თუთები,
ყოველ ხეს შევხარი ღიმილმორეული
და ვესათუთები.
მზის თვალში ჩასმულან,
დღის ძაფზე ასხმულან
მწიფე თუთასავით საკენკი წუთები.
გათქვირულ მარცვლებით —
პაწია კასრებით
თაფლს ეზიდებიან მიწიდან თუთები.
დამაყრის ნამის
წვეთებს ცივცივებს,
ფოთლების ტევრიდან მეძახის
— ჭიტა!
ყველაზე მაღალ ტოტზე ჟივჟივებს
ჩემი ბავშვობა — პატარა ჩიტი.
ხეზე ასულა და ვეღარ ჩამოსულა,
— მოგეშველები, პატარა ბიჭო,
ჩამოდი, დაგცხება, დიდი მზე მოცურავს,
ჩამოდი, გაჭმევ თაფლიან ფიჭას!
არ ჩამოგიტყდეს ტოტი უეცრად,
ვშიშობ, ჩამოდი, გაფიცებ სიცოცხლეს!..

ჩემს მზიას, ჩემს შვილს მისი ხმა თუ ესმა,
და მისაშველებლად კენწრისკენ მიცოცავს.
მაგრამ ვინ დაგიდევს კენწერს და სიცხეებს,
რომლის ლადარზეც კენჭიკ გალღვება,
იწყებენ თამაშს და სიმღერას იწყებენ.
ჩემი შვილი და ჩემი ბალღობა.
ყურსაც არ უგდებენ ჩემს შიშს და ჩემს ძახილს,
ტოტიდან ტოტზე კისკასით დახტიან.

..გულმკერდს უღელავენ ბაღი და ვენახი
ზაფხულს —
მზის რაშიანს
და სხივებლახტიანს.
ყოველ ხეს ცხელი ხელით რომ სინჯავს,
მოჰყავს სიმწიფე — მეწველი ძროხა,
ჩაცუცქებულა ივნისი დინჯად,
წინ უდევს ბაღი — პალიტრა ლურჯი,
უელავს თვალი მწვანე და ჭროღა
და მზის სხივების შეკრული ფუნჯით
ვაშლებს მუქწითლად უღებავს ლოყას.

1962

მომრავლებულა თეთრი ლექსები

მომრავლებულა თეთრი ლექსები,
როგორც ჭაღარა ორმოც წლის შემდეგ.
(თეთრს მაინც ვერვის დავესესხები,
თუმც ოთხ ათეულ წლის ბჭეზე შევდექ).

დამიწყებს ზოგი ჭიდილს და შებმას
და მაგალითად მეტყვის უიტმენს,
დე, თეთრად წერონ სხვებმა და სხვებმა,
სითეთრეს მათი ლექსი თუ ითმენს.

დე, თუნდ ჩვენც ვწეროთ ხილად, ხანდახან
მაგრამ ყოველთვის?
ღმერთო, გვფარავდე,
რომ ამ სითეთრემ ლექსი დადაღოს
და პოეზია გაჭაღარავდეს.

ოდითგან ჩვენი ლექსი ქართული
იყო მუსიკა გასაოცარი,
სიტყვა ფრთიანი, წელგამართული,
თვით ღმერთებისგან დასალოცავი.

სუნთქვა ვარდთა და სუნთქვა გრიგალთა,
რითმა დიდ განძად მოგვეპოება,

ლექსი ქამანდას უნდა გიგავდეს,
ვეფხისბწკლიანი მოგვე პოემა.

მე ისიცა მწყინს, ბოლოსდაბოლოს,
რომ წერდნენ რითმით ცალმარცვლიანით,
ყველა სტრიქონი უნდა ათრთოლოს
რითმის ელვარე ზარმა წკრიალით.

ზოგზოგებმა კი ჩაუქრეთ ალი
და ღრუბელივით ნესტით გაბერეთ,
სითეთრე ეს ხომ ჭაღარა არის,
მარადჭაბუკ ლექსს რატომ აბერებთ?

რათ გააშავეთ რითმა ფრთამთელი,
ამ სილამაზეს ან რა გული თმობს...
თუ გაგიგიათ, სადმე ქართველი
კაცი მღეროდეს ლექსებს ურითმოს?

1962

თვითონ ზღვა ზღვებზე გაჭრილა შუქად

რუსთაველს — ხომალდს

ჩემს მაგიდაზე ბრუნავს მსოფლიო
და გლობუსს თვალით დავხაზავ შუქად, —
შოთას ხმელეთი აღარ ჰყოფნია,
თვითონ ზღვა ზღვებზე გაჭრილა შუქად.

კავკასიონის მთებზე ალესილ
გულმკერდს მიარხევს დილისნაირად
და დედამიწის ყველა მხარეში
შედის ხომალდად, შუქად, ჰაერად.

...მე ფიქრით ხვალის დღეში წაველი:
დავცქერ კოსმიურ ტრასათა რუკას,
კოსმოდრომს სწყდება ხომალდი შუქად
და აწერია მას:
— რუსთაველი.

1963

დამსხვრეული დუმილი

მზეზე ასხლეტილ ფერთა რიალით
იმსხვრევა ბროლი — თეთრი დუმილი,
და ოთახს ავსებს ზარის წკრიალი
და ენას იდგამს შავი ყურმილი.
და შემოჰყვება თვალთა ბრიალით
სადღაც დახლართულ ლითონის ზონარს,
მაფორიაქებს და მაწრიალებს,
თვალში თვალს მიყრის, ღიმილით მზომავს.
შემოდის. ასე მოდის მზე დილით,
ზის ფანჯარასთან მთვარე ღამღამით.
ღიმილცბიერი, ხმადაწმენდილი
შორეულ ნისლში თვალს ახამხამებს.
მე ფიქრში ვხატავ მის თვალებს ვიწროს,
ფხიზელი თვალი ჰქონიათ ფიქრებს,
მე იმას უკვე სუნთქვითაც ვიცნობ,
და გზად თუ შევხვდი, ვერ მიცნოს იქნებ.
და გამთანგავენ და მატყვევებენ
მისი შიშველი თეთრი ხელები,
მისით ვივსები, როგორც ხეობა
მთიდან დაძრული ზვავ-მეწყერებით.
ო, დამსხვრეულო ჩემო დუმილო,
ვით გაგამთელო და მოგეფონო...

ბორგავს ოთახი როგორც ყურმილი
და მე მიყვარს და მძულს ტელეფონი.
შავი ზონარი — ობობას ქსელი,
შიგ ჩემი გული — მსხვერპლი საბრალო...
შორს ტყის ბილიკზე მოგოგავს შველი,
მის გზას რომ ავცდე, ვის დავაბრალო...

1963

ჩვენი საუკუნე

ზარებს უკვდავების
მძლავრად აგუგუნებს
მწვერვალად აზიდული
ჩვენი საუკუნე.
ჩვენი დიდი დროის
ორბიტზე გავიდა
შუქი — ავარდნილი
კრემლის ვარსკვლავიდან.

სიბრძნე ლენინისა
უკვდავ მზედ დაირწა,
(თვით ნამდვილ მზეზედაც
მალე ავიჭრებით),
როგორც ელვა ელვას
მიჰყვება წამი წამს,
მოდის კომუნიზმი
მძლავრი ნაბიჯებით,
— ისმინე, დედამიწავ!

ცის თაღი გაბურღეს
მზერით ქალაქებმა,
მოსკდა ნიაღვრებად.

მიწის ძუძუებს რძე,
სამშობიაროებში
შუქი არა ქრება.
...ატომის ბომბებს სცდიდნენ
შობის კუნძულებზე.
— იფხიზლე, დედამიწავ!
ჩვენს დროში ბავშვებსაც
არ სჯერათ ზღაპარი,
ათეულ წლის საქმეს
აკეთებს წამიცა,
ღიმილით
ტკივილით,
თაკარით
და ქარით
მომავლის დიდ გზებზე
გადის დედამიწა.

წვისა და ძიების
ზარებს აგუგუნებს
ჩვენი მღელვარე და
დიადი საუკუნე.
მიჰყვება წამი წამს,
ვერ ეტყვი: დამიცა...
— უკვდავი მომავლისკენ
იარე, დედამიწავ!

სამყაროს ხომალდს მისდევს
ახალი ხომალდი,

ცაზე უხვად ჰყრია
ვარსკვლავი — საფანტი,
მომავლის კოსმოდრომზე
ვდგავარ კოსმონავტის
სკაფანდრით.

უარმყოფს, თუ არ მესმა
იმისი ძახილი,
გამრიყავს, თუკი კალამს
წვერი გავუღუნე,
მომყივის, — შეშართული
იყავი ჩახმახივით! —
კომუნიზმის საუკუნე,
კოსმოსის საუკუნე,
ჩვენი საუკუნე.

მას ვუმღერ.
ის ომშიც
სისხლით მე დამიცავს,
გულით ვესიტყვები
ჩვენს დროს დადინჯებით,
მუდამ ამშვენებდეს
ეს ელვა ნეტავი ცას,
მოდის კომუნიზმი
დევგმირულ ნაბიჯებით.
— ამაღლდი, დედამიწავ!

1963

იქნება შენი სუნთქვაა

საფო მგელაძის წიგნზე მინაწერი

მინდა რომ სიტყვა შეგკადრო
კრძალვით და გაუბედავად,
ვიღაც თავს მადგას, მეძახის:
— თამამად უთხარ, დედაა...

დედა ხარ, ადრე წასული,
დაი ხარ, ჩვენთან მყოფელი,
სიმღერებით რომ მოლიე
ეს მოკლე წუთისოფელი,

ახლა წიგნიდან შეგვცქერის
დროისგან გაუმკრთალები
შენი მიმკრთალი ღიმილი,
შენი უძირო თვალები.

ნამის თვლებს აუკიაფებს
თბილისურ ვარდებს ნიავი, —
იქნება შენი სუნთქვაა,
შენთა ბაგეთა შრიალი.

წამოდექ, მონატრებიხარ,
შენი ღიმილი სწყურია

ემაგ შენს მაღალ ბახმაროს,
ემაგ შენს ლამაზ გურიას.

სასალამურე ლერწამი,
მზემ ოქროს ნაყშით მოფეროს,
დედაო, ადრე წასულო
და მუდამ ჩვენთან მყოფელო.

1963

წინ მიდევს შენი ლექსების ტომი

მე ფერფლი-ღა ვარ
ცეცხლზე დამწვარ სალამურისა.

ი რ ო დ ი ო ნ ე ვ დ ო შ ვ ი ლ ი ს
ერთ-ერთი უკანასკნელი ლექსიდან.

ვარდებს ასკდებათ თეთრი კაბები,
ვაშლებს სიმწიფით დახრიათ რტონი,
შევალ, ოთახში შევინაბები,
მეძახის შენი ლექსების ტომი.

წინ მიდევს შენი ლექსების ტომი,
მე შეგირდივით შენთან მოვედი;
მზისაკენ ლტოლვა, წყვდიადთან ომი
ხვედრი ყოფილა ხალხის პოეტის.

მიწას ეცვა მწუხრის თალხი,
მკერდს ხორშაკი აცვიოდა,
...შთაგონებით თარგმნი, ხალხი
მღერის „ინტერნაციონალს“.

მგოსნის ჩანგი უხმობს გმირებს,
ხალხი ჰლუნავს ღამის ბორკილს.

— მეგობრებო!..
იზეპირებს
ჯერ ისევ ყრმა მაიაკოვსკი.

— წინ, წინ გასწით! —
ფრთაშესხმული
დროშა ზეცის ტატნობს ჰკოცნის,
— ნუ შედრკება თქვენი გული! —
ბრძოლაში ჰქუხს სიტყვა მგოსნის.

— ბრძოლა იყოს ჩვენი ლხინი! —
იმეორებს მამაჩემიც.
ხალხი იწვის ბრძოლის ჟინით,
ღამევ, როგორ გადარჩები..

ციმბირის გზები,
ცივი საკანი,
ლოდინი მზის და დარდი ალაზნის...
ცას ფოთოლივით ქარი აქანებს,
ცის ქანდარაზე მთვარე არა ზის —
ეს ღამეული ოქროს ფრინველი.

ვიწრო საკანში კანკალებს ჭრაქი,
ფანქარს სტაცებენ სითბოს ხელები,
ვიწრო საკანში შემოდის ჭლექი
და ბოლთას არტყამს ხველებ-ხველებით,
გულგამჭოლავი თვალით მზირველი.

მერე გაიძრობს შეყინულ წულებს,
ჭრაქს აქრობს ცივი და გამყინავი,
მყიფე თითებით პოეტს მკერდს უღებს,
შედის და იმის გულში ივანებს,
სიკვდილის შავი ხატის მწირველი.

კაცი, მაისში დაბადებული,
მთელი სიცოცხლე ებრძოდი ზამთარს.
შენ ბრძოლა გქონდა დაბედებული
უკუნ წყვდიადთან და პირქუშ ჟამთან.
მოჰკვდი და უკვდავ მებრძოლივით
დატოვე ლექსი,
დიდი დილის წინ ჩაიფერფლე
ძალამიხდილი.
მჯერა: პოეტის დაბადება
მაისის თვეში,
ვით დავიჯერო
მაისშივე მისი სიკვდილი!..

ცას მაისი ალამაზებს
ოქროს ცვარით დანამული,
ქარს გადმოაქვს ალაზანზე
ფერფლი დამწვარ სალამურის.

გაუშლია მტკვარსაც მხრები —
ვწუხდი, განა ვტირიდიო...
მადლობით და მოწიწებით
შენ გიგონებ, ირიდიონ.

დაიწვი და ნაპერწკლებად
ხალხში დარჩა სიმღერები,
მას არც ნავლი წაეყრება,
არც მოკვდება სიბერეთი.

რიონზედაც
ციორზედაც.
აუყრიათ ლერწმებს ტანი,
შენგან ნანატრ დღეებს სჭედავს
ფრთაგაშლილი ამირანი.

1963

მიწა ცას ზვერავს გაგარინივით

ჩემს თავზე ზეცის ბროლი ბრიალებს
ვით კოსმონავტის სკაფანდრის მინა,
შიგ ექვსი წყვილი თვალი ბრდღვიალებს
და კაცის მძლავრი გონება ბრდღვინავს.

მიწას არ ყოფნის სიგრძე და განი,
ცად გაჭრის ფიქრი როდემდე ზიდოს,
მან მისცა თვისი სიბრძნე გაგარინს,
თვისი სიმძლავრე გადასცა ტიტოვს.

გუშინ უბრალო ქალმაც გაფანტა
დედამიწაზე კოსმოსის მტვერი,
მიწამ მოირგო ტანზე სკაფანდრა,
მთვარესთან პირველ შეხვედრას ელის.

მოვა დღე და მზის მაგვარ ღიმილით
კაცი თვით მარსის წყვდიადს გაფატრავს,
მიწა ცას ზვერავს გაგარინივით,
გაგარინი კვლავ იცვამს სკაფანდრას.

1963

მდინარე ბაწარასთან

(პანკისის ხეობა)

მზე ჩაგორდა სულ ერთ წამში,
ფრთას შლის ღამის მშვიდი დარი,
დაბზრიალდა მთების ჯამში
მთვარის თეთრი თითისტარი.

დატრიალდა, დაიხვია
წყალი ბაწრად დაკლაკნილი,
თავის რცხილით, თავის ღვიით
მთების ფიქრად დაგრაგნილი.

შენ გინატრე ახლა გულით...
მოუმატა წყალმა ხივილს,
იმის ქსელმი გახლართული
ავფართხალდი კალმახივით.

უმწიკვლო და უსიერი
ტყე ჩაჰყვება დაბლა ხრამებს,
თვალდაქყეტილ ბუს იერით
იბღვირება მთაში ღამე.

ხავსის ხალი გაუგია,
მუხის ფესვზე უდევს მხარი,

ირმის ხმა თუ გაუგია,
მორბის, ცრემლი მოსდის მარილს.

კარავს დავცემ აი აგერ,
კარავია თუ სიზმარი,
ცრემლს შევუშრობ ცხელი ბაგით
საირმე და საშვლე მარილს.

დილის ზარებს ჩამოვრეკავ,
წყალზე ირმებს ჩამოვრეკავ.

წინ ირემი მიმიძღვება,
მესხმის წყალი ასი კოკა,
მარილივით გულიც დნება,
ვის ეძახის ასალოკად..:.

სადღაც ნედლი სტვირი სტირის,
რომ სველ ბაგით ავიღო მე,
ირემივით გულიც ყვირის,
მის ხმას როდის გიგონებ?!.

1963

კალმახი და შელამეგა

აქ, მთებში, ალაზანი სულ სხვანაირია,
კალმახივით ხტის ტალღა ალაზნის,
ჰაერში მწიფე შვინდის ფერი აირია,
უცებ მოაკლდათ ცხელ ქვებს ძალა მზის.

ანკესი ამოვაგდე, მუხლებზე დავეშვი
და ნანადირევს შევავლე ხელი,
ხელიდან გამისხლტა და შევარდა ჰაერში
კალმახი, როგორც ისარი ჭრელი.

შევარდა, დავადევნე მზერა თვალმახვილი
(თუ დაიოკებ კაცი წყურვილსა?)
და უცებ დავინახე:
    მთაზე კალმახივით
იწვა ვარსკვლავით დაწინწკლული ცა.

1963

ღამე შუამთაში

ცაზე შემოუდგამთ ღვინით სავსე
მთვარის რქა,
მწვანედ ციმციმებენ ცივ-გომბორის
გრილი სერები;
ჰარიქა! —
შემოსევიან შუამთას
თელაველები, გურჯანელები,
თბილისელები...
მღერიან ენები —
ქართული,
რუსული,
საზღვარგარეთული,
შუამთა ვერ იჩივლებს მარტოობას,
ბარბაცებენ კოცონთა სინათლეს შერთული
დაჭყეტილი თვალები ავტოების.
ზარივით ჰაერში დაირხა ქარიშხლად, —
მრავალჟამიერი
გაფრენილი არწივის თუა ფრთა...
თამადაა,
ვარსკვლავიანი გულისპირი გაიხსნა
და ალავერდთან
ალავერდს გადადის შუამთა.

1963

პარტიის მამას—ვლადიმერ ლენინს

გული მზითა და სიცოცხლით სუნთქავს,
ამაღლდა ზეცა, გადიდნენ დღენი, —
მარად დიდება მარადის უკვდავ
პარტიის მამას — ვლადიმერ ლენინს!

ეს ჩვენი მიწა წიგნია ვრცელი,
ვკითხულობთ არხებს — პოემის ბწკარებს,
პარტია — ჩვენი მშობელი ბრძენი
აღებს ახალი ეპოქის კარებს.

უფრო მძლედ ჟღერენ დღეს კურანტები,
ქვეყნად სინათლის დიდი ზღვა ღელავს,
ადექ უმღერე მზეს გულანთებით,
კომუნიზმი რომ ჰქვია სახელად.

შევხსენით ზეცის მაღალი ბჭენი,
მთვარისკენ ვკაფავთ გზას ალმართიანს,
სიცოცხლე ჩვენი, სიმღერა ჩვენი —
ჩვენს ბრძენ წინამძღოლს, ჩვენს დიდ პარტიას.

გავდეთ მომავლის მკვიდრი ხიდები,
ამღერდა მიწა, გადიდნენ დღენი, —
დღეს ერთხელ კიდევ ვეტყვით დიდებას
პარტიის მამას—ვლადიმერ ლენინს!

1963

ზეთისხილის ხის ბალადა

1

საღამოს სიგრილე აფართქალდა
მიწაზე ამოვარდნილ კალმახივით
და დედა-თბილისის მაღალ კართან
მოდგა და უმატა მტკვარმა ხივილს. —

მზე ყანწით ბოლომდე შეუსვია,
მხარზე დღის სიფიცხე შეუსვია,
ათასი მერცხალი ააფრინა,
ქუჩებს და პროსპექტებს შეუსია.

როგორც ცის მუქმწვანე აივანი,
გაზაფხულის სუნთქვად მოვარდნილი,
ტორტმანობს კომკავ მ.რის ხეივანი
ზღვა — შუქში შესული ხომალდივით.

ჩამოდაბლდა ზეცა ჭორფლიანი,
ვარსკვლავნი წამწამებს უმალ ხრიან,
გადავცქერით ქალაქს მობრიალეს,
სამნი ვართ, მესამე—სტუმარია.

გაცრიატდა ბინდის ბაცი ფერი,
თბილისის შუქ-ხანძარი ზე მოიწევს,

ჭიქაში ციაგობს რქაწითელი,
ელადას ადღეგრძელებს ლეონიძე.

ალექსის პარნისი იღიმება
(თვალში ჩავარდნია ნამის წვეთი),
სიმღერა დაჭიმა მზის სიმებად,
სხვა რა დარჩენია ამის მეტი...

არა, მას იმედიც ახლავს მუდამ,
მზე მოვა, ამოუშრობს ნამის წვეთებს,
მის გულში საბერძნეთი ახმაურდა,
წყვდიადისთვის მას როგორ გაიმეტებს...

ის მისი შვილია, არწივია
მისი ველ-მინდვრების, მთა-ხევების,
მის ძლიერ სხეულში კვლავ წივიან
ტყვიის და ყუმბარის ნამსხვრევები.

ომის ქარდაკრული მასპინძელი
სტუმრის დიდ ტკივილმა მიმიზიდა,
თბილისში საბერძნეთს ვადღეგრძელებთ,
საბერძნეთს გავყურებთ თბილისიდან.

2

კუნძული ჰქვია...
უსვრია ზღვაში
შფოთიან მიწას ლოდი ვეება...

მჯდარს ეგეოსის ლაჟვარდის ყდაში
შავი ფერები გასდევს შრეებად.

კუნძული ჰქვია...
გულბოროტ ღმერთებს
ზღვაზე დაუბამთ ის ბორკილებით...
გადაჰღარვია ხიშტებით მკერდი
და ღამეები ხრავენ კბილებით.

დგას მარტოდმარტო...
ვეება უბე
ამოუვსია მრუმე საკნებით...
ციხეთა კოშკებს — დევების შუბებს
ღრუბლები სისხლის ცრემლებს აკმევენ.

ყეფენ ძაღლები...
მეკიხოვნეთა
ჩექმის რკინები კედლებს კაწრავენ...
იმ კედლებზე დრო ნელ-ნელ მოწვეთავს
ზღვაში ჩაშლილი ნისლის ნაწნავით.

სისხლად მოწვეთავს...
მზის მოაბჯრენი
ჩაუმწყვდევიათ ოცი წლის წინათ...
სულ პაწაწინა მიწის ნაჭერი
უზარმაზარი ტკივილით გმინავს.

... რამ მოიყვანა აქ ზეთისხილი,
როგორ მობედა მოსვლა სიმწვანემ...

სილაზე გდია ნიავი გრილი
და ტალღას ლოკავს როგორც სიმწარეს.

შავი ჭერიდან სითეთრე მოთოვს,
ჭაღარაა თუ ციაგი მთვარის...
და ზეთისხილის პაწია ფოთოლს
საკნის სარკმლიდან შენატრის თვალი.

ოცი წელია, ხეს დროჟამისას
სცვივა დღეები, როგორც ფოთლები,
ქვის ტახტზე ცვივა...
მისდევს წამი წამს
ცივ ჯურღმულებში უხმოდ მოფრენილს.

ოცი წელია, ნაპერწკლებს აჩენს
გული, ოცნება რომ აგვირისტოს,
ზეთისხილის ხის პაწია ნაჭერს
კაცი ახატავს ზეთისხილის რტოს.

ორმოცი დღეა ჩუმჩუმად ხატავს
სადღაც ნაპოვნი რკინის ნატეხით,
ძილს უფრთხობს დუმილს — მთვლემარე კატას,
მტკივან თითებში კივის მჩატე ხე.

მოხატა ციხის კედელი მუქი,
გაწამებული კაცის სხეული,
ვიწრო სარკმელში შეჭრილი შუქი
და ბორკილები გადამსხვრეული.

ნაჭდევი გულის შუქით შემოსა,
რკინის ნატეხიც ცხელ გულზე ლესა
და, როს სარკმელზე მტრედი შემოსვა,
სული ჩაედგათ მტრედსაც და ხესაც.

ხე აიტაცა ფრთოსანმა ფრთებით,
გადმოატარა ზღვები და მთები
და ჩემს თბილისშიც ჩამოიტანა
ამაყი სული ბერძენი ძმების.

და დაჰქრის, დაჰქრის ის უცხო მტრედი,
თეთრ ფრთაზე სისხლის უელავს წვეთი.
ნატყვიარ მკერდით,
დაუხრელ ქედით
იმ კუნძულივით დგას საბერძნეთი,
მკერდზე ეხლება ავდარი მძაფრი
და აკროპოლის მაღალი აფრით
მიარღვევს ღამეს.

3

კომკავშირის მთას აყრია ნამი,
ნამის სარკეში ვარსკვლავი ანცობს.
ალექსის პარნის, გვითხარი რამე,
ქართულ ოჯახის ნათლია კაცო.

არ გასვენებდა, მე ვიცი, წუხელ
რითმა რითმაზე ტყვიად მიჯრილი,

შენ ხომ სამშობლოს სიცოცხლეს უმღერ,
შენს სამშობლოში სიკვდილმისჯილი.

შენს სხეულში ხომ ნამსხვრევებია
გაცივებულის უკვე ლითონის
ამერიკულის,
ინგლისურის
და გერმანულის...
თავზე მთვარე რომ დაგვჩერებია,
რა გითხრა, ალბათ, იცი თვითონვე,
მას ახლა შესცქერს შენი მამულიც.

მაშ კვლავ სთქვი რამე, როგორც ზღაპარი,
შენი ხალხის და შენი მთაბარის,
იმ ზეთისხილის ხის მომხატავის,
თანამებრძოლის თუ წინაპარის.

მაშ სთქვი! გულმა რომ ცეცხლი არ ხარჯოს,
მაშინ სიმღერას რა ეშველება?..
იმ უცხო მტრედის ფრთას გაუმარჯოს,
შენი მამულის დღის გათენებას!

მებრძოლი ხალხის ხმას გაუმარჯოს,
უკვდავი სულის აგანგაშებას,
გრიგალში განვლილ გზას გაუმარჯოს,
მზის ნავსადგურში ღუზის ჩაშვებას!

1964

შავი არწივი

სამამულო ომის გმირი ბაგრატ
ვაშაგაშვილი

გულდანდობილო, ჭკვიანო,
ქმარო, არ იეჭვიანო...
არც კი უნახავს თვალითა
ემაგ ბარათის დამწერი,
სიზმარივით რომ წავიდა,
როგორც ის წლები დამწველი.
მამაცი ბიჭი იყო და
ლამაზ ქალს შეეხმაურა...
ლუკმას შენთან თუ იყოფდა,
ხელწერაც თუ გეცნაურა...
დე, ეგ ბარათი ცოლს ჰქონდეს,
აგრემც გათბობდეს ყველა მზე!...
ი ბიჭის ხსოვნა ცოცხლობდეს
ემაგ ციმბირულ კერაზეც.

პოლკში მოვიდა ბარათი,
უცნობი ქალის ბარათი.
(ოცი წლის მიღმა გადადის
სათავე ჩემი ბალადის)

კონვერტს წარწერა ანათებს,
ვით თრთოლვა ცისარტყელასი:
„ჩაბარდეს ესე ბარათი
ვინც მამაცია ყველაზე!“

ბინდმა დაფარა ველები,
ტყვიებით გადახნულები,
შტაბში შემოკრბნენ, მსჯელობენ
დაღლილი მეთაურები.
მაინც ვის მისცენ წერილი
იმ ციმბირელი ლამაზის? —
დუშმანზე ხმალმოღერილი
პოლკში ბევრია მამაცი.
ხან ეს ახსენეს, ხანაც ის,
დიდხანს გაგრძელდა კამათი,
ბოლოს შეთანხმდნენ: ჩაბარდეს
შავ არწივს ესე ბარათი.

მართლა არწივი კი არა,
ერთი შავტუხა ვაჟია
შიგ შუა ცეცხლში ტრიალებს,
ცეცხლივით უკაშკაშია.
ვაჟი კი არა, ვაშაა,
მტრის გულზე მეხად დაკრული,
ვაშაგაშვილმა გაშალა
ომში მარჯვენა ზღაპრული.
და გადაარქვეს სახელი

და შავ არწივად მონათლეს
ბევრი ბრძოლების მნახველი
და ისევ ბრძოლის მონატრე.
სთიბავს და სთიბავს ცელივით,
მტერს ტყვია არ ამყოფინა.
.... დღეს ვით გადასცენ წერილი, —
ბიჭი მტრის ზურგში ყოფილა.
გადის ერთი დღე, მეორე,
მესამეც უკვე ღამდება,
დარდი გაუჩნდათ მეომრებს,
ბაგრატს რათ აგვიანდება...
ჯერ გაუხსნელი წერილიც
ბლინდაჟში დევს მოწყენილი.

საცაა მოვა რიჟრაჟიც...
უცებ გაფხიზლდა ბლინდაჟი,
შუქად იფეთქა იმედმა,
მთვარემ თვალები მოლულა, —
მესამე ღამეს იმ ერთმა
სამი მოენე მოლალა.

— შავო არწივო, ინებე,
უსტარი თეთრი მტრედისა! —
ეტყვიან, გაუღიმებენ, —
შემოგეყარა ბედი სად...

ლოყა უელავს ალისფრად;
ემტვრევა გულის ფიცარი, —

მისთვის წერილი ქალისა
იქნება პირველიც ბარი.
მზე ჩასდგომია თვალებში,
ტუჩს ღიმი გაენასკვება,
პასუხს სწერს...
ვაჰ თუ ქალიშვილს
წერილს სწერს უკანასკნელად.
და უგრძეს ლიანდაგებზე
მიჰქრის სამკუთხა ბარათი,
გადივლის რძიან ბაღებზე,
ურალის ქედზე გადადის...

ჰოდა, კეთილო, ჭკვიანო,
ქმარო არ იეჭვიანო.
იყო მამაცი ბიჭი და
შეეხმაურა ლამაზ ქალს...
შენც ხომ მასავით გიჭირდა,
შენც ხომ იბრძოდი მამაცად.
მაშ ეგ ბარათი ცოლს ჰქონდეს,
აგრემც გინათოს ყველა მზემ,
ი ბიჭის ხსოვნა ცოცხლობდეს
ემაგ ციმბირულ კერაზეც.

1964

ძახილი დილეგებიდან

ხოზე დიასის საფლავთან,
თბილისში,
ვდგევარ და
გხედავ, ესპანეთო!

ყვავილი დავარდა
ნაპრალთან,
შავად სცრის,
        წითლად წვიმს,
            მწვანედ თოვს.

ზეცას მზე ღილივით შეაწყდა,—
დღე ჩამოაღამა რამ?..
ყომრალ ცას თოლია შეაწყდა,—
თუ ამოიგმინა ზღვამ...
მთვარე კრავივით გარბის სერზე,
ფეხი აუსხლტეს, ვაი თუ,
ვაი თუ, ჩავარდეს ზღვაში...
მთებზე — პირინეის მხარკისერზე —
თვალშავი ყორანი ფრთას შლის.

ზღაპრებში ჩასძინებიათ საოცნებო
ანდალუზიის გამჭვირვალე საღამოებს,

კარმენის თვალების გაოცებას,
ყინკაში დაფერფლილ ყაყაჩოებს.
ქარს შორს წაუღია ლამანჩელი
რაინდის კეთილი სიცილი,
და როგორც სიკვდილის განაჩენი
რეკს საპყრობილეთა სიცივე.
ღამეს ჩიბუხივით
გაუჩრია ხანძარი პირში,
ზღვას შუქი ფსკერზე დაუძირია.
ხიშტების ჩრდილში,
ლულების ჩრდილში,
სახრჩობელათა, ციხეთა ჩრდილში
ზის და ნაჯახს ლესავს
კაუდილიო.

ტრიალებს სიკვდილის წისქვილი,
დგას თეთრი ძვლების მოშაო მტვერი.
სიკვდილის მეწისქვილეს
აცოფებს მზის სხივი,
როგორც ხარს წითელი ფერი.
ის ისმენს მრისხანე ნაბიჯებს,
იმის ტახტს გრიგალი არხევს,
ძილს უფრთხობს, აშინებს, აგიჟებს
ძლიერი ტორერო,
უკვდავი ტორერო —
ხალხი.

მე მის სიმამაცეს კვლავ ლექსით შევყივი,
მშობლიურ მიწა-წყალს ჩაკრული,
მახსოვს აღზევება ამ უკვდავ დივგმირის,
იმისი ბრძოლები ზღაპრული.
ჩემი თაობისთვის ეს იყო სწორედ
პირველი ცოცხალი ომის გაგონება,
მოგვესმა ქვემეხთა გუგუნი შორი
როგორც საოცარი რაღაც შთაგონება.

წითელ ყელსახვევებს დროშებად ვშლიდით,
ცისარტყელას
მოქნეულ ხანჯალს ვადრიდით.
იყო ზაფხულის თვალთხევი მშვიდი
ჩვენი გრენადა და ჩვენი მადრიდი.
მივყიჟინებდით ფაშისტებს მხნე გულით,
ვუტევდით წყალშიც, მიწაზეც, ცაშიც,
უკვე დიდი ხნის მივიწყებული
ჩვენ ომობანას თამაში მაშინ
ვისწავლეთ...
ალბათ გავდიოდით რეპეტიციას.
ჩემს ბავშურ ოცნებას — ყვავილს მიწიანს
მიაქროლებდა სადღაც გრიგალი,
მადრიდის კედლებთან გამიღვიძნია
და ასტურიის მთებშიც ვიყავი.
სანგრების სანთლებს ვინთებდი შუქად,
ვისეტყვებოდი ტყვიების სეტყვით,
ვემუდარებოდი გენერალ ლუკაჩს,—

შენს ბრიგადაში ჩამრიცხე მეთქი.
გულზე დავემხე გარსია ლორკას—
ესპანეთის გულს—დაკოდილს უღვთოდ,
მერე მაჯებზე ვიმტვრევდი ბორკილს
და ჩემი სული დილეგში სწუხდა.

ვნახე: ესპანეთს, ვით გულს საკუთარს,
დაადეს ხელი და ფიცი დადეს.
ესპანეთს ჰხურავს შავი ცა ქუდად,
იმ ცის ქვეშ მკაცრი აჩრდილი დადის.
ის შავ წყვდიადში გზა-ბილიკს იგნებს,
იგი აწყდება ციხეთა კარებს,
ის ბორგავს თავის მამულის შიგნით,
ის ბორგავს თავის სამშობლოს გარეთ.

მუშაც, პოეტიც დილეგში სხედან,
დილეგში სხედან შვილიც და დედაც...

რამდენი ხანია,
არ დაუდგამთ მიწაზე ფეხი,
არ დავარდნია მათთვის მწიფე ნაყოფი ხეხილს,
რამდენი ხანია
არ სმენიათ შრიალი ხეთა,
რამდენი ხანია,
რამდენი ხანია, ნეტავ?!

არ გაუგიათ ჩვილის ღუღუნი,
დიდიხანია,
წყაროს თქრიალი, ნამგლის წკრიალი,—

დიდიხანია,
სტვენა ბულბულის, გუგუ გუგულის, —
დიდიხანია,
ჩარხის გრიალი ნაპერწკლიანი,
დიდიხანია,
წიგნის შრიალი, სტამბის გუგუნი
არ გაუგიათ, დიდიხანია.
გულისტოლისთვის ველარ უთქვამთ:
„ეო ტე კიერო!“*
დიდიხანია,
აქ ვერ ეტევა შენი სუნთქვა,
სულო ძლიერო,
დიდიხანია...

ხელის გულზე არ მოუფშვნეტავთ
პურის თავთავი,
არ დაუკოცნიათ საოცნებო
თვალები შავშავი...
არ დამთვრალან ვარსკვლავთა თილისმით,
არ გაუგონიათ ხმა ქარის წისქვილის,
არ დასველებულან დილის ცვრით,
არ მოუჩრდილებიათ ხის ჩრდილი,
რამდენი ხანია,
რამდენი ხანია, ნეტავ?!

ყრუდ ბუბუნებენ ველები, ქედები,
გულს აწევთ ციხეთა ჩრდილები რუხი,

* ესპანურად: მე შენ მიყვარხარ.

საპყრობილეებში სხედან პოეტები,
ბორკილს ვერ ადებენ მათს ამაყ ქუხილს.
სიტყვები ზარად ირეკებიან,
ნაღვერდლები სცვივათ დასისხლულ ქნარებს,
ბურგოსის ციხის დილეგებიდან
გადმოაქვთ ძახილი შორეულ ქარებს.
— ციხის ეზოში ხეტიალით
ვცვეთავ ფეხის გულებს,
გამუდმებით სცემს ჩემი გული
ამ კედლებს შიგნით.
მე ძუნწად ვითვლი მორბენალ დროს—
წუთებს, საათებს,
კვირეებს, თვეებს, წლებს...
ისინი ხომ
ხურდავდებიან აქ უბრალო
მონეტებივით.
მოხეტიალე პოეტი ვარ.
ყოველ ნაბიჯზე
მე ვხვდები მთელ ტყეს
დაუხარჯავ, უთქმელ სიტყვების,
ისინი არიან ადამიანები.
მხურვალე რწმენის,
უსასტიკეს ბედის და ტანჯვის
ძმები, რომლებიც გამუდმებით
ჩემთან არიან.
(ძალმიძს მათ ხელი დავუქნიო
შორიდან მხოლოდ,

ანდა შემთხვევით შევხედო მხოლოდ).
დროდადრო ციხის სინესტეში
იელვებს ლექსი,
ხან გარდაცვლილთა
ხსოვნა ისე მოტივტივდება,
როგორც ხომალდი ჩაძირული,
რომ ჩემი სულის
ნავსაყუდარში შევიდეს და
ჩაუშვას ღუზა.
ვცვეთავ ფეხსაცმელს,
გულსაც, ხელებსაც,
როს მსურს მივიღო მე პასუხი
უგრძნობელ ლოდის —
ქანდაკადქცეულ ჩემი თავის
და ყრუ დუმილის.
ღრუბლები ბინდში ამზადებენ
ქარის და სეტყვის
ქვემეხებსა და
მწველი თოვლის დანებს ლესავენ.
მე უნდა წარბი შევკრა ავდრის
ველურ ღრიალში,
უნდა ვიცინო წვიმაშიაც,
სეტყვაშიც, ქარშიც,
სასტიკ ზამთარშიც,
ჩემი ტანჯვის იმ სხვა ნაპირზე...
ყოველ ნაბიჯზე
თან დავათრევ მე მძიმე ბორკილს

და საპყრობილის კვადრატებზე
დავხეტიალობ...
მუქ პერანგის ქვეშ
ვგრძნობ სიცივეს და ჟანგს ჯავრისას,
ვგრძნობ, როგორ წვება
ყველა წუთი შუბლზე ღარებად.
ამ სველ კედლებზე
მე შორეულ ბავშვობას ვცვეთავ,
ციხის ფილებზე —
შორი ეზოს საყვარელ ფილებს,
ცხაურზე —
სათუთ, დავიწყებულ აივნის რიკულს.
ამ ქვებზე ვცვეთავ
სიცოცხლეს, მუხლებს, კბილებს და ხსოვნას.
მხოლოდ ეს არის საოცრება!—
ჩემთან კვლავ ისევ ის იმედია,
მაშინ, როდესაც
გამოვდივარ ციხის ეზოში,
მე ვხვდები ჩემს გულს,
ხელუხლებელს,
ისეთს ვით უწინ...

პოეტ ნიკოლასს გულზე აწევს
ბურგოსის კედელი
და მისი გული,
ბორკილებში ჩაუმედელი,
ბორკილდადებულ ესპანეთის

დიდ მკერდში ფეთქავს.
იქ კი, მადრიდის საპყრობილის
ყრუ კედლებს ხეთქავს
ქუხილი კარლოს ალვარეს კრუსის —
ინტერნაციონალის გუგუნი ისმის, —
სარკმელში — ზეცის პაწია ღრუში
ფერმკრთალდებიან ღამე და ნისლი.

პოეტი მღერის!..
ჯერ ვერც ერთ ჯალათს
ვერ გაუმედავს ლექსის ბორკილი,
ცხრაკლიტულებს ჰგლეჯს სიმღერის ძალა
და უსასრულო გზებზე მოჰკივის.
პოეტებს ჰკლავენ!...
მაგრამ სიმღერა ვერ მოუკლავს
ჯერ ვერც ერთ ჯალათს...
პოეტებს ჰკლავენ...
სიმღერა რჩება,
გზებზე გადის და იქცევა ქარად,
ბალებად, ზვრებად,
ტყეებად, მთებად,
წვიმად და ღვარად,
ფარად და ხმალად.

პირქუშად დგანან დილეგები,
ზღვაში მათი ჩრდილი ირეკლება.
ყომრალ ცას თოლია შეაწყდა, —

თუ ამოიგმინა ზღვამ,
ზეცას მზე ღილივით შეაწყდა —
დღე ჩამოალამა რამ?!..
ხულიან გრიმაუს თითების სითბო
ჟრუანტლად უვლის ლოდსა და ლითონს...
ჩრდილი სახრჩობელის მიწაზე მიცოცავს
და მიათამაშებს სისხლიან ხვითოს.
პირქუშად დგანან დილეგები,
შურისძიების ზარი ირეკება.
ესპანეთი — დასისხლული და ბედკრული
მტკიცედ დგას, თავს დაბლა
არ ხრის,
მოაბიჯებს მრისხანედ წარბშეკრული
მამაცი ტორერო,
უკვდავი ტორერო —
ხალხი.

1964—65

1965

თოვლი შორს მთებში დასტოვა,
შემოგრიალდა მზის ეტლით,
სიცოცხლის შუქით დასთოვა
თბილისი — ოქროს მთისებრი.

რუსთველზე მხრები გამართა,
ამაღლდა როგორც მთაწმინდა,
ლექსის სადავე წამართვა,
თვით დიდ სიმღერად გაბრწყინდა.

პატარა ნანას ნაძვის ხით
ოჯახში შემომიშუქდა,
მზისფერი ღვინო დამისხა,
ჩემი მამულის ხმით უკვდავს.

თავბრუ დამასხა, დამათრო,
ინათა მზედ და წვიმადა,
ერთი წელი თუ დამაკლო,
ერთიც სხვა შემომიმატა.

გულს ახალ ღელვად მოენთო,
ეს წიგნიც დამითარიღა,
მითხრა: გახსოვდეს, პოეტო,
დროის ყური და თვალი ხარ!..

მოვიდა, ნაპერწკლიანი
მტკვარი სიმივით მომართა,
მოვარდა, მოჰყვა გრიალი
ახალ კოსმოსურ ხომალდთა.

მოვიდა ცამდე მაღალი,
რუსთველზე მხრები გამართა,
როგორც სიმღერა ახალი
ტარიელთა და თამართა.

ჩაგვითქვა ბევრი აკვანი,
აკვნის მზე, აკვნის მრწეველი,
ახალი ფუძე სახლკარი,
სიხარულდაულეველი.

მოვიდა, მიწას ლაღად წერს
ლექსებად, ზვრებად, ყანებად...
ჩემი სიმღერა ახალ წელს
და იმის შემობრძანებას!

1. I. 1965.

შინაარსი

(„რა ჩვენი საქმეა“) 3
„„(„მო, ყური უგდე“) 4
ფანდურები 5
გაფრთხილება 6
სამშობლოსათვის . . 7
„„(„თასი უფრო მაღლა ასწით“) 9
ფრონტის მეგობარი 10
ვისლაზე . 11
რამ მოგიყვანა 12
მსტოვარი 13
ზამთრის ჩანახატი . . 14
ბერლინისაკენ ვიჩქარი, ვუახლოვდები თბილისს 15
ვინა თქვა თეთრიაო თოვლი 16
ოდერიც გადავლახეთ 17
რა მათბობდა 19
წყაროსპირ ვწევარ 20
ცის ახლოს პატარა სარკმელი 21
საქართველოვ, დაგიბრუნდი 23
ის საღამოები 24
„„ („ცავ შეგხარი, მზეო, შეგტრფი“) 25
ძვირფასო 26
მშენებელი . 27
.ეი, იორმა იორა 28
კაფია 29
ჩანჩქრებში ერთი წყაროა . 30
ღია ბარათი ამერიკელ ოფიცერს 31
იხილეთ მიწის გაჯეილება 33

ექიმი 34
ადრეა . 35
მთები ზღვასთან 36
რომ მივდივართ მხარდამხარ 37
ზღვა და ზაფხული 38
მაშ მითხარ . . 39
დაღესტნური მოტივებიდან 40
ღიმილის საგზალი 43
საჩერქეზოში . 45
საღამოს ტბასთან 46
—„— („ჰკითხე იმ ღამეს“) 48
სცრის მყინვარწვერი 49
მთვარე საკახშმოდ წასულა 50
ფაჩუჩები 51
ჩემს ლექსებს 52
თოვლის გუნდა 54
ილიას ხილვა დარიალში 55
ოთხეულები 57
მაჩაბლის ქუჩა 59
გაზაფხული იბადებოდა 60
წითელი კაბა 62
სულხან საბა 65
ჩვენი პლანეტის პირველი ელჩი 68
შუადღე . 69
გზის პირას ჰყვავის მინდვრის ყვავილი 71
ზაფხულია და ჯერ მკათათვე არ დამდგომია 73
იმ გზაზე შავი მაყვლები იცის 74
გაგრის გახსენება თბილისში 76
მეგობარო ჩემო 78
ფოლადის ქალაქი 80
ვაჟას ბუხარი . 82
კვლავ ფრთებს ისწორებს ხოხობი 84
შენს ელვადქცეულ დღეებს გავცქერი 87

თაფლს ეზიდებიან თუთები	89
მომრავლებულა თეთრი ლექსები	91
თვითონ ზღვა ზღვებზე გაჭრილა შუქად	93
დამსხვრეული დუმილი	94
ჩვენი საუკუნე	96
იქნება შენი სუნთქვაა	99
წინ მიდევს შენი ლექსების ტომი	101
მიწა ცას ზვერავს გაგარინივით	105
მდინარე ბაწარასთან	106
კალმახი და შეღამება	108
ღამე შუამთაში	109
პარტიის მამას — ელადიმერ ლენინს	110
ზეთისხილის ხის ბალადა	111
შავი არწივი	117
ძახილი დილეგებიდან	121
1965	131

Стихи

(На грузинском языке)

Издательство

«Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1965

რედაქტორი შ. ფოჩხიძე
მხატვარი ა. სარჩიმელიძე
მხატვრული რედაქტორი გ. ქუთათელაძე
ტექრედაქტორი ე. აბდუშელიშვილი
კორექტორი მ. კლდიაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/IV-65 წ.
ქაღალდის ზომა 70×108 1/32.
ნაბეჭდი თაბახი 5,82.
სააღრ.-საგამომც. თაბახი 3,45.
უე 00269. ტირაჟი 1500. შეკვ. № 217
ფასი 24 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

მე-4 სტამბა, თბილისი, მედქალაქი
Типография № 4, Тбилиси, Медгородок